ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 3 ოქტომბერი, 2022 №194 (8972) ფასი: 80 თეთრი

მკვლელობა ზესტაფონის ქუჩაზე

„შეიყვანა, სუფრაზე მიიპატიჟა... სრულიად უმიზეზოდ 39 ჭრილობა მიაყენა“

გვ.5

„პუტინის მუქარა ბლეფია. რუსეთის ბირთვული იარაღის დიდი ნაწილი გამოუსადეგარია“

„2008 წლის აგვისტოში რუსი ჯარისკაცები იმერეთსა და სამეგრელოში მოჯამაგირეებად უდგებოდნენ ქართველებს – სიმინდს ატეხინებდნენ, საჭმელი არ გვაქვსო“

პეტრე მამრაძე: „როგორც კი დაიწყებს რუსეთი მოძრაობებს, ამერიკა იმოქმედებს – იქნება უმკაცრესი პასუხი ჩვეულებრივი იარაღით დაბომბვით“

გვ.3

„სახალხო დამცველად „ენჯეოშნიკი“ კი არა, პოლიტიკოსი უნდა იყოს“

გვ.2

იაგო ხვიჩია: „საქართველოში თუ რუსი ავტომატითა და ტანკით არ შემოდის, სტუმრად მოსულები ადგილობრივებს ვერ დაჩაგრავენ“

გვ.3

„ქართული ოცნების“ გრძელვადიანი გეგმა ხელისუფლების არდათმობაა“

ლევან ალაფიშვილი: „ჩვენი მომავალი არის ნატოში. ეს კონსტიტუციაშიც გვიწერია“

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველა საჯარო მოხელეს ხელფასი 10 პროცენტით გაეზრდება“

გვ.4

რა შემდგომ ნაბიჯებს ელიან ბელარუსი ანალიტიკოსები ლუკაშენკოსგან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართ

გვ.4

„ლუკაშენკო პოლიტიკური მეძავის როლს დიდხანს ვერ ითამაშებს“

გვ.5

თეთნულდზე დაკარგული სამი ტურისტი გარდაცვლილი იპოვეს

რომის პაპი: „ვევედრები ვლადიმერ პუტინს, შეაჩეროს ძალადობისა და სიკვდილის ეს სპირალი“

გვ.6

2 საქართველოში სააკაშვილის ექსპერტიზაში ჩართული უცხოელი სპეციალისტი ჩამოდის

5 ზუგდიდის სოფელ ზედა ეწერში ჩასარიცხი აპარატი მოიპარეს

2 კადიროვი: „გამოვაცხადოთ სომარი მდგომარეობა და გამოვიყენოთ დაბალი სიმძლავრის ბირთვული იარაღი. ესაა გამოსავალი“

6 გერმანია, დანია და ნორვეგია უკრაინას 16 სლოვაკური ჰაუბიცით მოამარაგებენ

1993230720223

„სახალხო დამცველად „ენჯეოშნიკი“ კი არა, პოლიტიკოსი უნდა იყოს“

იაგო ხვიჩია: „საქართველოში თუ რუსი ავტომატითა და ტანკით არ შემოდის, სტუმრად მოსულები ადგილობრივებს ვერ დაჩაგრავენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის კითხვებს იაგო ხვიჩია პასუხობს.

– იაგო, საზოგადოებამ იცის, რომ სახალხო დამცველის პოზიციაზე თქვენი კანდიდატურა წარადგინეთ. რა პროცესი მიმდინარეობს ახლა პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით?

– ახლა ის პროცესია, როდესაც ე.წ. კომისიის წევრებმა უნდა შეაფასონ კანდიდატები. ფაქტობრივად ყველას სიებია შემოტანილი და ახლა პოლიტიკოსები არჩევენ, ვის დაუჭირონ მხარი ან ვინ წარადგინონ მათი სახელით სახალხო დამცველის კანდიდატად.

– ოპოზიციის ერთი ნაწილისგან ვისმენთ შეფასებებს, რომ თქვენ სახელისუფლებო კანდიდატი ხართ.

– ვინ თქვა ეგ?!

– არაერთმა ოპოზიციური პარტიის წევრმა.

– მე არ მომისმენია. ჩემმა კოლეგებმა, მგონი, ყველაზე კარგად იციან, რომ სახელისუფლებო კანდიდატი არა ვარ. მე, როგორც იურისტი, გეტყვით იმას, რომ ჩემგან იმის მტკიცება, რომ რაღაც არ ჩამიდენია, არის სასაცილო. მათ აქეთ უნდა დაამტკიცონ, რომ რაღაც ჩავიდინე. რომ გამოხვიდე და ამტკიცო, ქურდობა არ ჩაგიდენია, ეს აბსურდია. ვიღაცამ აქეთ უნდა გიმტკიცოს, რომ ქურდობა ჩაიდინე.

– ანუ, თუ ასეა, დაგიმტკიცონ, რომ ხელისუფლების კანდიდატი ხართ?

– აბა მე როგორ ვამტკიცო?! ყველა მიცნობს, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც. დარწმუნებული ვარ, მხარდაჭერას სხვადასხვა პარტიისგან მივიღებ. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ მე არანაირი სახელისუფლებო კანდიდატი არა ვარ. ერთადერთი განსხვავებული კანდიდატი ვარ, რომელიც ამბობს იმას, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი მთლიანად უნდა შეიცვალოს და სახალხო დამცველად, „ენჯეოშნიკის“ ნაცვლად, უნდა იყოს პოლიტიკოსი, იმიტომ, რომ ეს არის პოლიტიკური თანამდებობა.

– გარდა ამისა, კიდევ რას სთავაზობთ განსხვავებულს საზოგადოებას, რის გამო უნდა დაგიჭირონ მხარი?

– დამთავრდება ადამიანების დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. ე.წ. იდენტობის პოლიტიკის ყველა გამოვლინება დამთავრდება და ადამიანებს თანაბრად დაიცავს სახალხო დამცველი სახელმწიფო სისტემისგან მომდინარე ძალადობისგან, მიუხედავად მათი სქესისა, კანისა, გენდერული იდენტობისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა. ასევე სახალხო დამცველის საქმიანობის უდიდესი ნაწილი გადავა სასამართლო ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესწავლაზე, მათთან საუბარსა და ზოგადად ბრძოლაზე იმისთვის, რომ ციხეში 10 ათასი პატიმრის ნაცვლად გვყავ-

„რუსების უდიდესი ნაწილი ამ ქვეყანას სატრანზიტოდ იყენებს. სწორედ ამიტომ მოაწყდნენ საზღვარს. გამოიქცნენ რუსეთიდან, რომ მერე აქედან სადმე წავიდნენ. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ საგანგაშო მდგომარეობაა“

დეს მისი ნახევარი. ეს იქნება ცვლილება და კონკრეტული მიმართულება, რომელიც ყველასთვის გასაგები იქნება.

– როგორია „ქართული ოცნების“ დამოკიდებულება თქვენს კანდიდატურასთან დაკავშირებით?

– გულწრფელად გეტყვით, წარმოდგენა არა მაქვს. მე არ ვგრძნობ მათგან მხარდაჭერას. ამიტომ არასერიოზულად მიმაჩნია ის ხმები, რომ თითქოს სახელისუფლებო კანდიდატი ვარ. მე ვარ კანდიდატი, რომელიც ერთადერთია ამწუთას, რომელთან დაკავშირებითაც შეიძლება იქნეს მიღწეული კონსენსუსი როგორც ხელისუფლებიდან, ისე ოპოზიციიდან. ევროპელი კოლეგები გვთხოვენ კონსენსუსურ კანდიდატს. სინამდვილეში, ამ პროცესის მთავარი ღირებულება ეს არის. გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებიც ყოველთვის ამრევები არიან. რაც არ უნდა ხდებოდეს, მაინც ამას ილაპარაკებენ. ვინ ვისი კანდიდატია, ეს, მე მგონი, ჩემს შემთხვევაში, არაფერ შუაში არ არის. მე სულ სხვა იდეით მოვდივარ იქ და, ასეთი იდეით თუ სხვა კანდიდატი მოვა, მზად ვარ, მხარი დავუჭირო. თუმცა ასეთი იდეით იქ სხვა არავინაა.

– ბატონო იაგო, საზოგადოება ძალიან შეშფოთებულია და შიშს ვერ მალავს ამდენი რუსის შემოსვლასთან დაკავშირებით. უამრავი პრობლემა შეიძლება გამოიწვიოს ამ ყველაფერმა. როგორ უნდა მოხერხდეს მათი აქ დასახლება, რა ეკონომიკურ პრობლემებს გამოიწვევს ეს ყველაფერი? უამრავი კითხვა აქვს საზოგადოებას. ხომ არ არის დრო, ხელისუფლებამ გადახედოს სავიზო პოლიტიკას ან საზღვარი ჩაკეტოს?

– ჩემი აზრით, ჩვენ ამ ხალხს კარი უნდა გავუღოთ და ვასწავლოთ ქვეყნიდან წასასვლელი გზა. ტრანზიტის ფუნქცია უნდა შევასრულოთ, იმიტომ რომ, ადამიანი, რომელიც ომს გამოურბის, რა საფუძვლით, მნიშვნელობა არა აქვს, ვალდებულნი ვართ, ამ გასაჭირისგან ვიხსნათ. ამასთანავე, ახალ საზარბაზნე ხორცს ვარიდებთ უკრაინის მიწას, რადგან მათ იძულებით გააგზავნიან. ამიტომ, ჯობს, აქ შემოვიდნენ. ისინი ჩვენზე მდიდრები არიან, შესაბამისად, დიდხანს არ დარჩებიან ღარიბ ქვეყანაში. ჩვენ არ უნდა შევუქმნათ დაბრკოლება, პირიქით, გზა უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ შეიძლება ამ ქვეყნიდან გასვლა, როგორ უნდა მოიქცნენ, სანამ ამ ქვეყანაში არიან და არა ის, რომ შემოვიღოთ ვიზები და შეზღუდვები მათ წინააღმდეგ. მე ვფიქრობ, გაჭირვებულს უნდა დაეხმარო, რომელიც არასამართლიან ომს გამოურბის.

– რატომ არა აქვთ პროტესტი საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების მიმართ? ეს ამდენი ხალხი იქ რომ გამოსულიყო, შესაძლოა, სულ სხვა შედეგი დამდგარიყო. რომ გამორბიან, ამით რას შეცვლიან?

– ჯერ კიდევ 30 წლის წინ ჩვენს ქვეყანაშიც ტირანიაში უწევდა ხალხს ცხოვრება და ვერაფერს ხდებოდნენ მათ წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის დროს რომ გაქცეულიყვნენ, მათთვის უნდა მოეთხოვათ, რატომ არ ამხობ კომუნიზმსო?! მაშინ ეს არ იქნებოდა რელევანტური არგუმენტი. თუ მაშინ არ იქნებოდა, ვერც ახლა იქნება.

– ხომ არსებობს ლიმიტი? რამდენად გაუძლებს და რამდენს დაიტევს ეს ქვეყანა?

– მე მგონია, ჯერ არ დგას საკითხი ასე, რომ დატევაზე ვიყოთ. ვფიქრობ, რუსების უდიდესი ნაწილი ამ ქვეყანას სატრანზიტოდ იყენებს. სწორედ ამიტომ მოაწყდნენ საზღვარს. გამოიქცნენ რუსეთიდან, რომ მერე აქედან სადმე წავიდნენ. ჯერჯერობით არ ჩანს, რომ საგანგაშო მდგომარეობაა. როდესაც დავინახავთ. რომ მილიონი ადამიანი შემოვიდა საქართველოში, ცხადია, მაშინ სხვა სურათი გვექნება. მე არ მჯერა, რომ აქ ამდენი რუსი შემოვა. საუბარი მაქვს ეთნიკურ რუსზე, თორემ იქ ძალიან ბევრი ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს და სწორედ მათი დიდი ნაწილი ბრუნდება. ეთნიკურად ქართველის დაბრუნებას, პირიქით, უნდა მივესალმოთ. ის აზრი, რომ ეთნიკურად რუსები აქ კოლონიებად დასახლდებიან, უსაფუძვლოა.

– საზოგადოებაში არის შიში, რომ მალე რუსულენოვანი სკოლების გახსნასაც მოითხოვენ. ამ ყველაფერს არ იზიარებთ?

– არა. ეს ყველაფერი აბსურდია. საქართველოში თუ რუსი ავტომატით, ტანკით არ შემოდის, სტუმრად მოსულებმა, არა მგონია, ადგილობრივი ქართველების დაჩაგვრა შეძლონ.

– არ სჭირდებათ ტანკი და ავტომატი, ისე მოახერხებენ ჩვენს დაპყრობასა და ოკუპაციასო.

– კარგით, რა, არ მჯერა მაგისი. მე ამ ქვეყანაში დავიბადე და გავიზარდე, ვიცი ქართველების დამოკიდებულება. არ მჯერა, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში რუსები დაგვჩაგრავენ, თუ ისინი ტანკითა და ავტომატით არ შემოდიან დასაპყრობად. ჩვეულებრივად მოსული რუსი რომ აქ ჩვენ დაგვჩაგრავს, მე მაგ სისულელის არ მჯერა! რაც შეეხება ტანკით შემოსვლას, ამისთვის რუსეთს არგუმენტი არასდროს სჭირდებოდა.

– ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლებას მკვეთრად რუსული პოლიტიკა აქვს არჩეული. კახა კალაძე რუსული პოლიტიკის აქტიური მხარდამჭერიაო. ამ ყველაფერზე რას იტყვით, ეს რამდენად აზიანებს ჩვენს ქვეყანას?

– მე არ ვიცი, მკვეთრად რუსული პოლიტიკა რას შეიძლება ნიშნავდეს, მაშინ როდესაც რუსეთი ასეთ მდგომარეობაშია. რა შეიძლება იყოს მკვეთრად პრორუსული, გარდა იმისა, რომ შეშინებული და შეშინებული პოლიტიკის გამტარებელი ხარ. შესაბამისად, ამ შეშინებული პოზიციის გამო მთლიანად ქვეყნის ევროპულ პერსპექტივას აყენებ კითხვის ნიშნის ქვეშ! ახლა რაც ხდება რუსეთის თავს, ვინმეს რატომ უნდა მოუნდეს, რომ მათ გვერდით იყოს?! მე არ მესმის ის, რაც ახლა ხდება და მგონია, რომ ეს არის შეშინებული ხალხის პოლიტიკა. მსოფლიოში სწორედ ასეთი პოზიცია გვიჭირავს. ეს პოზიცია რამდენ ხანს გაგრძელდება, ვერ გეტყვით. რუსეთის კატასტროფა კი ამ ომში ყველასათვის ცხადი იქნება. ამ პირობებში ჩვენ რა შანსი შემოგვრჩება დასავლეთთან ინტეგრაციის, ეს ჩემთვის არ არის ცნობილი. მე ზოგადად ხელისუფლების პოლიტიკას განვიხილავ და, კალაძე იქნება თუ სხვა, ასე სახელები და გვარები არ მაინტერესებს.

– რას იტყვით ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე? მთავარ ოპოზიციურ პარტიაში საკმაოდ ცუდი ამბებია. ჯერ კიდევ როდის ამბობდით, ეს პარტია უნდა დაიშალოსო. რა პროცესებთან გვაქვს საქმე?

– ნაცმოძრაობის დაშლის იდეა ნელ-ნელა პოლიტიკურმა სპეკტრმა აიტაცა. უკვე სხვა პარტიებიც მოუწოდებენ ნაცმოძრაობას ამ მიმართულებით. დღეს სრულიად გაუგებარია, ნაცმოძრაობა რას და რატომ აკეთებს, საერთოდ რა პარტიაა, როგორ გადააფასეს წარსული და ასე შემდეგ. ჩვენთვის კი უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინ ვინ არის, გარკვეული იყოს შემდეგი არჩევნებისთვის.

საქართველოში სააკაშვილის ექსპერტიზაში ჩართული უცხოელი სპეციალისტი ჩამოდის



მიხეილ სააკაშვილის ექსპერტიზაში ჩართული კიდევ ერთი უცხოელი სპეციალისტი თბილისში დღეს საღამოს ჩამოფრინდება. ამერიკელი ნევროლოგი ქვეყნის მესამე პრეზიდენტს კლინიკა ვივამედში მოინახულებს და დამატებით კვლევებს ჩაუტარებს.

მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას უკვე სწავლობს ექიმი გასტროენტეროლოგი შეერთებული შტატებიდან. იგეგმება საქმეში ნობელიანტი პროფესორის ჩართვაც, რომელმაც პროცესში მონაწილეობის მზადყოფნა უკვე გამოთქვა.

– ორი ადამიანი უკვე იყო ჩამოსული, ერთი შვეიცარიიდან და ერთი შტატებიდან. დადეს უკვე დასკვნები კიდევ დარჩა ერთი გასტროენტეროლოგი, რომელიც შტატებშია, ის არც აპირებდა ჩამოსვლას იქ წერს დასკვნას, იმის საფუძველზე რაც აქედან აქვს მიღებული. დღეს ღამე უნდა ჩამოვიდეს ბატონი კობი, რომელიც ორთოპედია. იმ ადამიანებმა, ვისაც გვინდა მისი ფიზიკურად გადარჩენა, უნდა ვიჩქაროთ, – ამბობს გიული ალასანია.

რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, კლინიკა ვივამედში ის ცენტრ ემპათიის წევრებმა მოინახულეს. მარიამ ჯიშკარიანის ინფორმაციით, მესამე პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმებულია.

– განხორციელდა ვიზიტი მიხეილ სააკაშვილთან. ჩვენი შეფასებით, მდგომარეობა დამძიმებულია. ბოლოს ჩვენ ვნახეთ სექტემბრის დასაწყისში და ახლა მდგომარეობა არაადეკვატურად დამძიმებულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სიტუაცია არის საკმაოდ მძიმე. მულტიპროფილური დიაგნოზები აქვს მას. ველოდებით ნევროლოგის ვიზიტს ამერიკიდან, ასევე შესაძლებელია, ბატონი კოლბი ჩამოვიდეს, ეს გახლავთ ცნობილი პროფესორი ამერიკიდან. შემდგომში ექსპერტიზა სასწრაფოდ დასრულდება და ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ძალიან სწრაფად იქნება დასკვნა, – თქვა მარიამ ჯიშკარიანმა.

მელია: „ვინმეს გვჯერა, რომ მუხთარლის გამტაცებელი მედუქნეები რუსეთის სადაზვერვო საქმიანობის თავიდან ასაცილებლად იმუშავებენ?“



ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია განცხადებას აქვეყნებს და აზერბაიჯანელი ჟურნალისტის აფგან მუხთარლის გატაცებაზე საუბრობს.

– ქვეყანა აბარია კაცს, რომელიც ყველა რუსულ დავალებას უპირობოდ ასრულებს და ამის ფონზე, რა გასაკვირია, რომ ქვეყნის კონტრდაზვერვა აბარია კაცს, გიორგი ტრაპაიძეს, რომელმაც გაიტაცა აზერბაიჯანელი ჟურნალისტი აფგან მუხთარლი!

უკვე სახელებითა და გვარებით არიან ცნობილნი თანამდებობის პირები, რომელთაც გაიტაცეს ჟურნალისტი!

დამკვეთი არაფორმალური მმართველი რუსი ოლიგარქია, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი კი ქვეყნის დღევანდელი შინაგან საქმეთა მინისტრია, ადამიანი, რომელმაც ეს დავალება შესასრულებლად მიანდო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მაშინდელ უფროსსა და თავის მოწილეს სარესტორნო ბიზნესში – ვინმე ოთარ კუპრაშვილს.

ვინმეს გვჯერა, რომ ესენი, ეს ადამიანის გამტაცებელი მედუქნეები ოდესმე იმუშავებენ რუსეთის სპეცსამსახურების სადაზვერვო საქმიანობის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად?

ყველას საკადრისად მიეზღვება, მოუწევს ჩადენილ დანაშაულზე პასუხისგება და ეს დრო იმაზე ადრე დადგება, ვიდრე მათ და კიდევ ბევრ სხვას ჰგონია!

კადიროვი: „გამოვაცხადოთ საომარი მდგომარეობა და გამოვიყენოთ დაბალი სიმძლავრის ბირთვული იარაღი. ესაა გამოსავალი“

ჩეჩნეთის ლიდერი რამზან კადიროვი ამბობს, რომ მოსკოვმა უკრაინაში მცირე სიძლიერის ბირთვული იარაღის გამოყენებაზე უნდა იფიქროს.

– ჩვენ იზიუმი არ გვეყო? მე ჯერ კიდევ მაშინ ვამბობდი, რომ უნდა ვესროლოთ ჩვენი მოწინააღმდეგის დაჯგუფებებს და საბოლოოდ გავანადგუროთ. უნდა გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, ყველა ჩვენი იარაღი, ჩვენი ტერიტორიების დასაცავად.

ჩემი აზრით, უფრო ხისტები უნდა ვიყოთ. გამოვაცხადოთ საომარი მდგომარეობა და გამოვიყენოთ დაბალი სიმძლავრის ბირთვული იარაღი – ესაა გამოსავალი. გუშინ იყო აღლუმი იზიუმში, დღეს ლიმანში უკრაინული დროშა ფრიალებს. რა იქნება ხვალ, რას ჰგავს ეს.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ქართული ოცნების“ გრძელვადიანი გეგმა ხელისუფლების არდათმობაა“

ლევან ალაფიშვილი: „ჩვენი მომავალი არის ნატოში. ეს კონსტიტუციაშიც გვიწერია“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, 30 სექტემბერს უკრაინამ ხელი მოაწერა განცხადებას ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დაჩქარებული წესით შესვლასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ეს შანსი საქართველოსაც ეძლევა. როგორი შეიძლება იყოს „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება?

– ისევე, როგორც ევროკავშირში, ნატოში გაწევრიანებაც საქართველოსთვის პოლიტიკის მიღმაა. ეს ის საკითხებია, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენი ქვეყნის ხვალინდელ დღეს. სწორედ ამაზე დგას სახელმწიფოს მომავალი. ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტა არ ეკუთვნის ან ერთ, ან მეორე ხელისუფლებას. ეს საკითხი ქართველმა ხალხმა გადაწყვიტა და კონსტიტუციაშიც ჩაწერა.

კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს მომავალი არის ნატოში. ახლა ნებისმიერმა ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ყველაფერი უნდა გააკეთოს კონსტიტუციის ამ ჩანაწერის აღსასრულებლად.

– „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნინო წილოსანმა დაჩქარებული წესით განაცხადის გაკეთებასთან დაკავშირებით თქვა, გადაწყვეტილებას იმ მოცემულობიდან გამომდინარე მივიღებთ, რომელიც ქვეყნისთვის უკეთესი იქნებაო.

– ეს საკითხი არ არის ხელისუფლების გადასაწყვეტი. ეს საკითხი ბევრად უფრო მაღალ დონეზე გადაწყდა – საქართველოს მოქალაქეებმა მიიღეს ეს გადაწყვეტილება და კონსტიტუციაში ჩაწერეს კიდეც. ახლა კეთილი ინებოს „ქართულმა ოცნებამ“ და ყველაფერი გააკეთოს საქართველოს მოქალაქეების ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

ხელისუფლების ნებისმიერი წევრი, არა აქვს მნიშვნელობა, ეს იქნება აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელი, ვალდებულია, ყოველდღე მუხლჩაუხრელად იმუშაოს იმისთვის, რომ კონსტიტუციის ეს ჩანაწერი აღასრულოს. თუ ხელისუფლებაში არიან, ასე უნდა მოიქცნენ, რადგან ამას მათ, როგორც ხელისუფლებას, კონსტიტუცია ავალდებულებთ.

– განაცხადს გააკეთებენ?

– ვერ გეტყვით, ვნახოთ. თუმცა, განაცხადი არის გაკეთებული ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით, მაგრამ შეგიდეგი?! კეთდება კი რამე, რომ რეალურად საქართველომ მიიღოს სტატუსი. მივდივართ კი სწორი მიმართულებით? მხოლოდ განაცხადი, რომც გააკეთონ ასეთი განცხადება, არაფერს არ ნიშნავს. მთავარია, ყოველდღე ვიაროთ იმ მიმართულებით, რომ მართლა გავხდეთ ნატოს წევრი ქვეყანა.

ნებისმიერი ხელისუფლება ქართველი ხალხის, ამ ქვეყნის მოქალაქეების დაკვეთის შემსრულებელია. ასე უნდა იყოს, რადგან ხელისუფლებას ხალხი ირჩევს. ხალხია გადამხდელი. ხელისუფლებას ფულს ხალხი უხდის, ხალხი ქირაობს მათ. ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე ვსაუბრობ, მაგრამ მიწევს, რადგან ვიღაცებს ვერ გაურკვევიათ, რომ ასეთ გადაწყვეტილებებს დეპუტატები ვერ იღებენ.

– როგორ ფიქრობთ, რატომ შეიძლება გააჯანჯლონ ნატოს წევრობაზე დაჩქარებული წესით განაცხადი, როგორც ეს უკრაინამ გააკეთა?

– მკაფიო პოლიტიკის ნიშანწყალი არ არსებობს, რომ გითხრათ, რეალურად როგორია მათი პოლიტიკა, რა არის მათი არჩევანი, საით მიდიან. გრძელვადიანი ხედვა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ უკვე ათი წელია, ხელისუფლებაშია. ერთადერთი პოლიტიკა ძალაუფლების შენარჩუნებაა.

ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, ხედვა არ არის წარმოდგენილი. რომ დავასკვნა და ანალიზი გავაკეთო, არჩევანი ეს არის, რომ ეს ხელისუფლება ამ გზით მიდის – ასეთ ანალიზს, უბრალოდ, ვერავინ ვერ გააკეთებს. ერთადერთი, რაც აშკარად ჩანს და რა სტრატეგიაც აქვთ არჩეული, ეს არის ძალაუფლების შენარჩუნება, ხელისუფლების არდათმობა.

– ასეთი განწყობა ახლაც იკითხება?

– რა თქმა უნდა. ყველა მათი განცხადება სწორედ ამას ემსახურება. ერთადერთი გზავნილი „ოცნების“ მხრიდან არის ის, რომ ისინი უნდა დარჩნენ ხელისუფლებაში.

– შეძლებენ?

– ეს უკვე ამომრჩევლის, ამ ქვეყნის მოქალაქეების გადასაწყვეტია და სხვა არავისი.

„პუტინის მუჭარა ბლეფია. რუსეთის ბირთვული იარაღის დიდი ნაწილი გამოუსადეგარია“

პეტრე მამრაძე: „როგორც კი დაიწყებს რუსეთი მოძრაობებს, ამერიკა იმოქმედებს – იქნება უმკაცრესი პასუხი ჩვეულებრივი იარაღით დაბომბვით“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი დეპუტატი პეტრე მამრაძე პასუხობს.

– ბატონო პეტრე, რა ინფორმაციაზე დაყრდნობით აცხადებთ, რომ რუსეთს ბირთვული იარაღი არა აქვს?

– არასწორია, რომ რუსეთს ბირთვული იარაღი არა აქვს. დავიწყოთ იმით, რომ ტაქტიკური ბირთვული იარაღი რუსეთს შეერთებულ შტატებზე მეტი აქვს. საუბარია ჭურვების ოდენობაზე, მაგრამ ნაკლები სიმძლავრისაა და მას არტილერიაც გამოიყენებს ჭურვებად. ეს არ არის ის, რასაც თერმობირთვული ჰქვია. იარაღსა და თერმობირთვულ ომს ქვეყნის დანგრევას ეძახიან. რუსეთს აქვს ტაქტიკური იარაღი, რომელიც გამოიყენება რაღაცის დასანგრევად. შეტევაზე რომ უნდა გადავიდნენ გამაგრებულ პუნქტებში, როგორც ძლიერი დარტყმის ძალის მქონე ჭურვს, ისე გამოიყენებენ.



მეორე – ეს ჩემი აზრი კი არ არის, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების შუა რიცხვებში, მე, როგორც ფიზიკოსს, მიხდებოდა შესვლა და მუშაობა მოსკოვისა და პეტერბურგის წამყვან ფიზიკის ინსტიტუტებში (დისერტაცია მოვამზადე და დავიცავი პეტერბურგის იოფეს სახელობის ინსტიტუტში, რომელიც ჯერ კიდევ მაშინ მსოფლიოს ერთ-ერთი ცენტრი იყო. ჩვენი დირექტორი ნობელის პრემიის ლაურეატი გახლდათ).

მე მაშინ ვისმენდი საუბრებს, მაგალითად, ხარკოვში და სხვაგან მომისმენია (პატრიოტი რუსები ამბობდნენ), ჭირი და უბედურება ტრიალებს ჩვენს ბირთვულ შეიარაღებულ ძალებშიო.

– კერძოდ, რა?

– ისინი ამბობდნენ, რომ ბირთვული ქობინები მუდმივ განახლებას საჭიროებენ. იქ ყოველთვის მიმდინარეობს რადიაციული დაშლის პროცესი და გარკვეული დროის შემდეგ ის უკვე უვარგისია, ლითონის ნაჭრად იქცევა და არავითარი აფეთქება არ მოხდება, რომც ჩამოაგდონ.

ამაზე ძალიან მკვეთრად საუბრობდნენ კოსმოსური კვლევების ინსტიტუტის ხელმძღვანელები (ინტერვიუსთვის გვარებს არ ვიტყვი), აკადემიკოსები, რომ სისტემის სრული დეგრადაცია ხდებოდა. ბირთვული იარაღი საერთოდ მიგდებულიაო. მისი მოვლა დიდძალ სახსრებს საჭიროებს.

„პერესტროიკისა“ და 90-იან წლებში აშშ-მ მილიარდები გამოყო. ლუგარის პროგრამა იყო, რუსეთის ტერიტორიაზე არსებული არსენალის დეაქტივაცია ხდებოდა. ამისთვის რუსეთში ჩადიოდა ობამა (შემდგომში პრეზიდენტი), სენატორი ლუგარი (შეგიძლიათ ნახოთ მათი ფოტოები, რუს გენერლებთან და მეცნიერებთან გადაღებული), რადგან მის მოსავლელად რუსებს რესურსი არ ჰქონდათ.

აშშ, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მსოფლიოს ბირთვული დაბინძურება რომ არ მომხდარიყო, რუსეთს მილიარდებით ეხმარებოდა.

აშშ-მ მიაღწია უკრაინიდან, ბელორუსიდან და ყაზახეთიდან ბირთვული არსენალის რუსეთში გადატანას. ყველაზე მეტი უკრაინაში იყო. კულუარულ მოლაპარაკებებში აშშ აცხადებდა, უკრაინას არ ვცნობთ, სანამ მთელ ბირთვულ იარაღს რუსეთს არ ჩააბარებსო.

– სანაცვლოდ ოთხი დიდი სახელმწიფო უკრაინას გარანტორად გამოვიდა, რომ მის უსაფრთხოებას დაიცავდნენ, მაგრამ რუსეთის აგრესიისაგან მაინც ვერ დაიცვეს.

– რუსეთი ხელს აწერდა დოკუმენტს, უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის გარანტი ვიქნებითო. პრეზიდენტმა კრავჩუკმა ცოტა ხნის წინ დაწერა (ის ხომ მეცნიერია): მაშინ მე ვიყავი პრეზიდენტი და შესანიშნავად ვიცოდი, რომ უკრაინის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული არსენალის დიდი ნაწილი სრულიად უვარგისი და ჯართად ქცეული იყო, ხოლო დანარჩენი ნაწილის მოვლას მილიარდობით დოლარი სჭირდებოდა, რაც მაშინ უკრაინას არ გააჩნდაო. ასე რომ, სინამდვილე სულ სხვაა, ვიდრე ზოგიერთებს ჰგონიათ.

– ბირთვულ იარაღს პუტინის პირობებში არ მოუვლიდნენ?

– საქმეც ისაა, რომ არ გაუმჯობესეს.

– აბა, პუტინი რით იმუქრება?

– ბლეფია. უდიდესი ნაწილი უვარგისია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი აქვს. მათ შორის, არსებობს სტრატეგიული დანიშნულების კონტინენტშორისი რაკეტები, რომელთა თითოეული ბირთვული წყალბადის ბომბი (სადაც ჩადებულია ნალმი) გაცილებით ძლიერია, ვიდრე ხიროსიმასა და ნაგასაკზე ჩამოყარეს.

ხიროსიმასა და ნაგასაკის ტოლი ბომბი გამოიყენება იმ პროცესის ასანთებად. წარმოგიდგენიათ, რა იქნება, სულ რამდენიმე ცალიც რომ აფეთქდეს?

– დიახ, მსოფლიოს ძალიან დიდ ზიანს მოუტანს.

– 2500-ზე მეტი აქვს რუსეთს და 2500 აქვს აშშ-ს, ანუ ცოტა მეტია რუსეთის არსენალში, მაგრამ ეს ბლეფია იმ გაგებით, რომ 2500-დან, რეალურად, შეიძლება ძალიან მცირე ნაწილი აფეთქდეს, მაგრამ, რამდენიმე ცალიც რომ აფეთქდეს, უკვე ძალიან დიდ ზიანს მოიტანს. ტაქტიკური იარაღის გამოყენებაც საკმაოდ საზიანოა, შეუდარებლად ნაკლები სიმძლავრითა და რაოდენობით, ვიდრე ჩერნობილის აფეთქების დროს იყო, მაგრამ მაინც საზიანოა.

ამ ფონზე ფაქტობრივი პარიტეტი არ არის. აშშ და ნატოს წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მისი მოკავშირეები არიან, ბევრად მეტ ბირთვულ იარაღს ფლობენ, ვიდრე რუსეთი. რუსმა გენერლებმა ეს ძალიან კარგად იციან. რუსეთის არმიაში, ისევე, როგორც რუსეთის სახელმწიფო სტრუქტურებში, კორუფციამ არნახულ დონეს მიაღწია სწორედ პუტინის დროს.

მცირე რეფორმა სერდიუკოვის დროს გატარდა. ვინაიდან საკმარის თანხას ვერ იხდიდა, კორუფციის ბრალდებით დააპატიმრეს. ამ დროს სერდიუკოვი შედარებით ნორმალური იყო, რაც რუსმა გენერლებმა ძალიან კარგად იციან.

ბოლო წლებში რუსეთის არმიაში პანტასავით ცვიოდა სტრატეგიული ბომბდამშენები, ტუები, 50-იან წლებში აშენებული, ჯერ კიდევ სტალინის შემდეგ ინერციით გაკეთებული. ფრენა ხომ უნდა შეესრულებინა, აფრინდებოდა და ვარდებოდა. 2005-2006-2007 წლებში რაღაც პერიოდში 2-3 თვეში 7 ერთეული დაკარგეს. ძლიერი ომის დროსაც კი არ იკარგება ასეთი სტრატეგიული ბომბდამშენები.

მაშინ ინტერვიუებში ხმა ამოიღეს რუსეთის დიდმა „პილოტებმა“ (იმ დროს შედარებით თავისუფლება იყო). კითხვაზე, რატომ ხდება ეს? პილოტი პასუხობდა: ხდება იმის გამო, რომ ვინც ამაზე პასუხისმგებელია და ვისაც ევალება რესურსების განახლება, ახალი თვითმფრინავების აგება, მათ ყველას მრავალმილიონიანი იახტები და ვილები აქვთ ნიცასა თუ მსოფლიოს წამყვან კურორტებზე. კერძო ფირმის „როსკოსმოსის“ მფლობელი ხომ დააპატიმრეს (კონცერნივით შეიქმნა, მრავალმილიარდიანი ქონება მოექცა კონცერნის ქვეშ). აცხადებდნენ, ს-300-ები ისეთია, ყველაფერს აგდებს და მას ვერაფერი ჩამოაგდებს (გახსოვთ, ასეთი პროპაგანდა იყო), ს-400 კი საერთოდ ზებუნებრივიაო.

სამი ს-300-ის დანადგარი თავისი ეკიპაჟით იდგა ყირიმის აეროპორტში და სამივე ისე განადგურდა, ყირიმის აეროპორტს რომ დაარტყეს, გასვლაც ვერ მოასწრეს. ს-300-მა ჯერ ვერც ერთი ჰაიმარსი ვერ ჩამოაგდო, ანუ საერთოდ ბლეფი გამოდგა.

– ახლა უკრაინაში რაღაც ძ ბგერით იარაღს რომ იყენებს რუსეთი?

– აბსოლუტური ბლეფია. უკრაინაში ფოსფორის ბომბებს იყენებენ, რაც საშინელებაა, მაგრამ იმ ძ ბგერითი იარაღით წინ ვერაფერი წავიდა. ყველაფერი გაძარცვულია. სამაგიეროდ, შოიგუმ თავის საყვარელ ქალს (რომელიც ღიად საყვარლად ჰყავს) გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭა. მას მოჰკითხონ, ფული სად წავიდა.

– ე.ი. პუტინი თავის საყვარლებს ქონებას ურიგებს და მისი გენერლებიც პუტინისნაირად იქცევიან.

– დიახ და კაცობრიობის სახელით ყველა მადლობელი უნდა ვიყოთ, რადგან არ არის ბირთვული იარაღის საბჭოური არსენალი, რომელსაც შეეძლო, რამდენჯერმე ზედიზედ დაერტყა მოწინააღმდეგისთვის, ანუ მსოფლიოს მრავალჯერადი განადგურების რესურსი იყო. ეს იმას ნიშნავს, დედამიწაზე სიცოცხლის მოსპობას რომ სჭირდება, ვთქვათ, 100 მეგატონის წყალბადის ბომბი და ასეთი 1000 გექნება, 10-ჯერ ზედიზედ მსოფლიოში სიცოცხლე რომ მოსპო, ანუ გარანტირებული მოსპობა სამჯერადად. ეს დაიყვანეს რამდენიმე დიდ ბომბზე, რომელიც შეიძლება აფეთქდეს.

2008 წლის აგვისტოში რუსი ჯარისკაცები იმერეთსა და სამეგრელოში მოჯამაგირეებად უდგებოდნენ ქართველებს – სიმინდს ატეხინებდნენ, საჭმელი არ გვაქვსო. ქართველები, ვისაც ჰქონდა სიმინდი ან სხვა რაღაც გასაკეთებელი, სიამოვნებით ჰყავდათ მოჯამაგირეებად და ეს ოკუპანტები ყანებში შრომობდნენ, სიმინდს კრეფდნენ, მაგრამ ფულს კი არ ითხოვდნენ, ოღონდ გვაჭამეთო. ამ მოჯამაგირე ოკუპანტებზე გადაცემები იყო. ჩვენ გვახსოვს ტანკზე მსხდარი ოკუპანტები, ყველას ჯიბიდან მოპარული კოვზები რომ უჩანდა. ნახმარი უნიტაზებიც კი წაიღეს. ნახმარ უნიტაზს რომ მოხსნის ადამიანი, ტანკზე დაამაგრებს და გაზიდავს.

ამ წელს, გაზაფხულზე, ინდოეთი რუსეთისაგან 15 მილიარდ დოლარად წყალქვეშა ნავებს ყიდულობდა თავისი რაკეტებით, ქობინებით.

– მერედა, ეს ქობინები დაბალი ხარისხის იყო?

– გამოცდის დრო რომ დადგა, ოთხი რაკეტიდან სამი საერთოდ ვერსად გაფრინდა, ვერ გაუშვეს. ერთი გაფრინდა, მაგრამ ვაი, რომ საპირისპირო მიმართულებით წავიდა. მაშინ ინდოეთმა კონტრაქტი გაწყვიტა.

რუსეთის მთავარმა სანიტარიულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ განაცხადა, რომ ინდური ჩაი სულ დაზიანებული იყო, შიგ პატარ-პატარა ხოჭოებიაო. მეორე დღეს ჰოლანდიურმა ფირმამ, რომელიც რუსეთში ინდური ჩაის ექსკლუზიური შემომტანი იყო, განაცხადა: ეს გამორიცხულია, ჩვენ შეგვაქვს, ყოველთვის ვამოწმებთ, არც ერთი ასეთი პრეცედენტი არ ყოფილა, შეუძლებელია, ასე იყოს და ჩვენ ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში სარჩელი შეგვაქვს ჩვენი იმიჯის შელახვისთვისო. მეორე დღეს გენადი ონიშჩენკომ თქვა, ინდური ჩაი ხელმეორედ შევამოწმეთ და დავადგინეთ, რომ არავითარი ხოჭოები არ არისო.

– 2008 წელს ამბობდნენ, რუსეთს ძველი ტექნიკა აქვსო. მას შემდეგ შეიარაღება არ განუახლებია? უკრაინის ომმა რა გამოაჩინა?

– ცნობილი რუსი ექსპერტები აღიარებენ, რომ სერდიუკოვის დროს სერიოზული ძვრები მოხდა ჩაცმა-დახურვის, მომარაგებისა და იარაღის მხრივ (ტანკები გაკეთდა), მაგრამ ეს ძალიან ცოტა იყო. იმდენად ცოტა გაკეთდა, როდესაც უკრაინელებმა ჯაველინები და ჰაიმარსები გამოიყენეს, იმდენი ტანკი გაუნადგურეს, რომ კრემლმა (თვალებს არ ვუჯერებდი, რომ ვკითხულობდი) მოსკოვის დაცვისთვის განკუთვნილი სატანკო ბატალიონები უკრაინაში გადაისროლა.

– მაშინ პუტინს რის იმედი აქვს, რით იმუქრება?

– უბრალოდ, ახლა სხვა გამოსავალი არა აქვს. პუტინს შესანიშნავად ესმის, რომ მობილიზაცია ჩავარდება, არაფერს შეცვლის და მისი რეიტინგი ეცემა, მაგრამ პუტინმა ამით კოჭი გაუგორა ულტრანაციონალისტებს, ვთქვათ, კირკინებს, რომლებიც პუტინს აკრიტიკებენ, უკრაინასთან ასე არ შეიძლება, საჭიროა სრული მობილიზაცია და სრული არმიის გამოყენება, თორემ უკრაინას ვერ მოვერევით, რადგან მას დასავლეთი ეხმარებაო.

იმდენად მძაფრადაა რუსეთში ამ ფრთის მხრიდან კრიტიკა, რომ რუსეთს პუტინზე უარესი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

რა შემდგომ ნაბიჯებს ელიან ბელარუსი ანალიტიკოსები ლუკაშენკოსგან ოკუპირებული აფხაზეთის მიმართ

„ლუკაშენკო პოლიტიკური მეძავის როლს დიდხანს ვერ ითამაშებს“

მარიამ მჭედლიშვილი



პუტინის მოკავშირე ბელარუსი ლიდერის ოკუპირებულ აფხაზეთში „გასეირნებას“ საქართველოში მეტ-ნაკლებად შესაბამისი აღშფოთება მოჰყვა. ლუკაშენკოს მძაფრი კრიტიკა არც საერთაშორისო საზოგადოებამ დააკლო.

ამჟამად ანალიტიკოსები მსჯელობენ ლუკაშენკოს შემდგომ სავარაუდო ნაბიჯებზე. აღიარებს თუ არა ბელარუსის პრეზიდენტი (რომლის ლიგიტიმურობას მსოფლიოში არ ცნობენ) აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“? ამაზე ერთიანი პოზიცია არ არსებობს. თებერვალში ლუკაშენკომ არ გამორიცხა, რომ ყირიმს რუსეთის ნაწილად ცნობს, აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთს“ კი – დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, როგორც კი რუსეთის პრეზიდენტი ეტყვის, რომ ამის აუცილებლობა არსებობს.

ოკუპირებულ აფხაზეთში (ბიჭვინთაში) ლუკაშენკომ სოჭიდან მოულოდნელად „შეიარა“. ეს მოხდა რუსეთისთვის არასახარბიელო ფონზე.

ცნობილია, რომ აფხაზეთის საზოგადოება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ბიჭვინთის აგარაკის რუსეთისთვის გადაცემას. საზოგადოება ასევე დიდი სიფრთხილით ეკიდება რუსეთ-ბელარუსის კავშირში აფხაზეთის შესაძლო შეყვანას, ვინაიდან, აფხაზების აზრით, ეს აფხაზეთს სუვერენიტეტის ყველანაირ ნიშანწყალს დაუკარგავს.

ლუკაშენკოს აფხაზეთში ვოიაჟს ისევ ეხმაურებიან და მის შემდგომ სავარაუდო ნაბიჯებს განიხილავენ ბელარუსი ექსპერტები.

ანალიტიკოსი **არტემ შრაიბმანი:**

– როგორც ჩანს, ლუკაშენკო აღარ ხელმძღვანელობს იმ მოსაზრებებით, რომლებიც მას აკავებდა ამგვარი განწყობებისგან. საქართველოსთან ურთიერთობებიც აღარ აინტერესებს. დასავლეთთან ურთიერთობასაც ვეღარ გაიფუჭებს. გასაფუჭებელი აღარაფერია. კრემლიდან ზეწოლის კიდევ რამდენიმე თვე და ლუკაშენკო შეიძლება მივიდეს აფხაზეთის აღიარებამდე.

პოლიტიკური მიმომხილველი **ალექსანდერ კლასკოვსკი:**

– ლუკაშენკოს აფხაზეთში ვიზიტი აჩვენებს, რომ ის ახლა რთულ სიტუაციაში იმყოფება და მოსკოვი მას მარწუხებს უჭერს. ასეა თუ ისე, მას უნდა, რომ თავი დაიძვრინოს ნაკლები სისხლის დაღვრით. აფხაზეთში ჩასვლა არ ნიშნავს, რომ ხვალ იგი ხელს მოაწერს ბრძანებულებას მის აღიარებაზე და მასთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაზე. ეს არაოფიციალური ვიზიტი იყო. ლუკაშენკო ამგვარად ამტკიცებს, რომ მოსკოვის წინაშე რაღაცას თმობს.

ბელარუსი პრორუსი პუბლიცისტი **ალექსეი ძერმანტი:**

– მინსკი ხდება ახალი ევრაზიის ფორპოსტი. მისი ფორმირება მოხდება მას შემდეგ, რაც მხარდაჭერილი იქნება აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

აფხაზეთზე გადმორთულ პუტინის ამფსონ ლუკაშენკოს საკუთარ ქვეყანაში არც ისე მყარი მდგომარეობა აქვს. ლუკაშენკოს ოპონენტების რიცხვი დიდია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, მათ შორის, უკრაინის ფრონტზე. ბელარუსული პოლკი უკრაინის მხარეს იბრძვის.

ბელარუსში არსებულ განწყობებზე, რუსეთის საწინააღმდეგო ომში უკრაინისადმი მხარდაჭერაზე ბელარუსის თავისუფალ მედიასთან საუბრობს ბელარუსის მუშათა გაერთიანების ლიდერი **სერგეი დილევსკი.**

– შეიცვალა თუ არა მუშათა დამოკიდებულება უკრაინის ომის მიმართ?

– ეს დამოკიდებულება როგორი უარყოფითიც იყო, ისეთივე დარჩა. ამას ემატება შიში, რომ მუშები და მათი ახლობლები შეიძლება გაიწვიონ, როგორც ეს რუსეთში ხდება. ლუკაშენკო პოლიტიკური მეძავის როლს დიდხანს ვერ ითამაშებს. ვალს გასტუმრება უნდა. მალე დადგება საათი, როცა კრემლი იტყვის, რომ დიქტატორმა ბელარუსები ომში უნდა გაიწვიოს, ვინაიდან საზარბაზნე ხორცი არ ჰყოფნით.

– რა უნდა ქნან ბელარუსებმა, სამობილიზაციო ბარათებს თუ მიიღებენ?

– გეტყვით, მე როგორ მოვიქცეოდი. დავთანხმდებოდი. ეს არის პირდაპირი წვდომა იარაღზე. იარაღის გამოყენება შეიძლება იმისთვის, რომ დამთავრდეს ეს განუკითხაობა.

– ბელარუსებს დღეს რა ვარიანტები აქვთ?

– გაფიცვების გარდა, ყოველთვის ჭრიდა პარტიზანული მოძრაობა. საჭიროა დივერსიების მოწყობა, ინფრასტრუქტურის გადაჭრა იმისთვის, რომ მაქსიმალურად გართულდეს პუტინის, ასევე ლუკაშისტური სტრუქტურების ლოჯისტიკა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ყველა საჯარო მოხელეს ხელფასი 10 პროცენტით გაეზრდება“

„მშპ-ის პროგნოზი იქნება 80 მლრდ ლარი. 2020 წელს იყო 50 მლრდ ლარი, ანუ ჩვენ სულ რაღაც 2-3 წელიწადში 30 მლრდ ლარით გავზარდეთ მთლიანი შიდა პროდუქტი“

– მომდევნო წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით, მინდა, რომ ჩვენს მოსახლეობას, ხალხს ინფორმაცია მივაწოდო. მინდა, მანამდე მოკლე შეფასება გავაკეთო და შევახსენო ჩვენს ხალხს და ჩვენს თავს, თუ სად ვიყავით მანამდე, ორი წლის წინ, დაახლოებით, როცა პანდემია მძვინვარებდა ჩვენს ქვეყანაში, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, საქართველოს ეკონომიკაზე ძალიან დიდი გავლენა მოახდინა პანდემიამ, რა დროსაც ეკონომიკა შემცირდა 6.8%-ით და გაიზარდა მთავრობის ვალი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ მთავრობას ბიუჯეტის გაზრდის საშუალება მისცა.

მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ მსოფლიოში არსებული რეცესიის ფონზე საქართველოს უპრეცედენტოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი აქვს.

– მინდა ვუთხრა ჩვენს ხალხს, რომ წელს ჩვენ, მოგეხსენებათ, ბიუჯეტი საკმაოდ კონსერვატიულად დავგეგმეთ. ბიუჯეტში ჩადებული იყო 6%-იანი ეკონომიკური ზრდა, 2022 წლის ბიუჯეტში და ნომინალურ გამოხატულებაში მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზი იყო დაახლოებით 65 მილიარდ ლარამდე, 64,8 მილიარდი ლარი. გახსოვთ, რომ ასევე მაღალი იყო ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი და მშპ-ის 4,4%-ს შეადგენდა. თამამად და ამაყად ვიტყოდი, რომ წელს, ჩვენ მიერ გადადგმული გონივრული ნაბიჯების შედეგად, მაღალი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებელმა ბიუჯეტში მეტი შემოსავალი გააჩინა, რამაც მთავრობას ბევრი კარგი და ახალი წამოწყების დაფინანსების საშუალება მისცა.

2023 წლის ბიუჯეტიც კონსერვატიულადაა დაგეგმილი.

– რაც შეეხება 2023 წლის ბიუჯეტს, ამის თაობაზე მინდა, ჩვენს საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდო. მოკლედ გეტყვით, რომ გაისად, 2023-შიც, საკმაოდ კონსერვატიულად გვაქვს დაგეგმილი ბიუჯეტი. ამავე დროს, ჩვენ ვაგრძელებთ ფისკალურ კონსოლიდაციას. კერძოდ, რეალური ეკონომიკური ზრდა დაგეგმილია 5%-ის ფარგლებში, ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, 5%-იანი ზრდის ფარგლებში, მშპ-ის პროგნოზი იქნება 80 მლრდ ლარი.

– ეს არის კონსერვატიული, ხაზგასმით მინდა ვთქვა, კონსერვატიული შეფასება და დაგეგმვა, 5%-იანი ზრდის ფარგლებში, ჩვენ მივიღებთ თითქმის 80 მლრდ ლარს, მშპ-ის პროგნოზი იქნება 80 მლრდ ლარი. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ ვითარებაში 1 სულ მოსახლეზე გადაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტი თითქმის 7500 აშშ დოლარს უტოლდება. მინდა, საზოგადოებას შევახსენო, თუ რა მოცულობა იყო და მშპ რამდენს შეადგენდა 2020 წელს, – მაშინ იყო 50 მლრდ ლარი მშპ და 2021-ში იყო 60 მლრდ, ანუ ჩვენ სულ რაღაც 2-3 წელიწადში 30 მლრდ ლარით გავზარდეთ მთლიანი შიდა პროდუქტი. ეს არის დაახლოებით 10 მლრდ დოლარით ზრდა მთლიანი ეკონომიკის. ეს არის რეალური სურათი და, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, მთლიანი მშპ გამოდის თითქმის 7500 აშშ დოლარი, 4800 აშშ დოლარი იყო მანამდე. ეს არის რეალურად ჩვენი და ჩვენი გუნდის მუშაობის შედეგი სულ რაღაც 2 წლის, არც კი, განმავლობაში, – აღნიშნა პრემიერმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, პოლიციელების, ჯარისკაცებისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ 20 პროცენტით.

მისივე თქმით, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 18,5 მილიარდი ლარით და ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ის 2.8%-ს. 2 წლის წინ იყო 9.3%.

– რაც შეეხება სხვა მონაცემებს, მინდა, ძალიან მოკლედ გითხრათ, რომ ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვრება 18,5 მილიარდი ლარით და ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს მშპ-ის 2.8%-ს, 2 წლის წინ იყო 9.3%. 9.3% და 2.8% შევძელით 2 წელიწადში. გვაქვს 2 წელი, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა და მშპ გავზარდეთ 30 მილიარდი ლარით. ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი ჯამურად 2023 წელს იქნება 24.3 მილიარდი ლარი, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ სრულყოფილად ვუპასუხოთ ქვეყნის ძირითად გამოწვევებს. კერძოდ, მინდა, რამდენიმე ძირითადი პრიორიტეტი გამოვკვეთო. პირველი, დავიწყებ იმით, რომ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და უსაფრთხოების სამსახურის დაფინანსება იზრდება 490 მილიონი ლარით – ეს ჯამურად. მათ შორის პოლიციელების, ჯარისკაცებისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ 20 პროცენტით და ამ მიზნით გათვალისწინებულია 290 მილიონი ლარი. აქვე მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენ იანვარში გავზარდეთ ყველა საჯარო მოხელისთვის ხელფასები 10 პროცენტით. 2023 წლის იანვარშიც ასევე გაიზრდება ყველა საჯარო მოხელისთვის 10 პროცენტით ხელფასები და ეს ზრდა გაგრძელდება მომდევნო წლებშიც. ჩვენ გამოვკვეთეთ პოლიციელები, ჯარისკაცები და უსაფრთხოების სამსახური, და მათი ხელფასები გაიზრდება 20 პროცენტით იანვრიდან ყველა თანამშრომლისთვის, – განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის თქმით, ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსება იზრდება 770 მლნ ლარით, 70 წლისა და მეტი ასაკის პირთა პენსია მაღალმთიან დასახლებებში გახდება 440 ლარამდე, სხვაგან – 365 ლარი.

პრემიერ-მინისტრის თქმით, მუნიციპალიტეტების გაზრდილი შემოსავლების ფარგლებში, შესაძლებელი იქნება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ხელფასების ზრდაც.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ყველა საჯარო მოხელის ხელფასი 10%-ით გაიზრდება.

„პუტინის მუქარა ბლეფია. რუსეთის ბირთვული იარაღის დიდი ნაწილი გამოუსადეგარია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

აღარ ეყოლება. ულტრანაციონალებს ვერავინ ეხება. პუტინის გეგმა ჩავარდნილია.

რაკი უკვე თავის ტერიტორიად ექნება აღიარებული, ავტომატურად იმ ტერიტორიებსაც ბირთვული ქოლგა დაიცავს. გაეროში კავროვმა გაახმოვანა, ამის შემდეგ თუ შეტევა და „ახალი სახელმწიფო საზღვრის“ დარღვევა მოხდება, ბირთვულ იარაღს გამოვიყენებთო.

ასეთი გაანგარიშებაა: ეგებ ახლა მაინც შეშინდნენ უკრაინა და დასავლეთი, რომ რუსეთს რაღაც დაუტოვონ, რომ გამარჯვებად გამოაცხადოს. თითქოს სპეციალური ოპერაციის ჩანაფიქრი ეს იყო. სინამდვილეში, კიევის აღება, იქ იანუკოვიჩის დასმა ჰქონდათ ჩაფიქრებული.

– თუ გაუვიდოდა. პროგრამა მაქსიმუმი უკრაინის ოკუპაცია იყო, პროგრამა მინიმუმი – ამ დროისთვის ოკუპირებული ტერიტორიების მიტაცება, სადაც ახლა ვითომ რეფერენდუმები ჩაატარა.

– პუტინი ფრთხილი ადამიანი იყო და ფრთხილ ადამიანად დარჩა. მანდ ძალიან საინტერესო რამ მოხდა. ყირიმის ანექსიის დროს დღედაღამ არ ეძინა, თვითონ პუტინი ხელმძღვანელობდა და ერთი გასროლაც არ ყოფილა.

– მაშინ სხვა სიტუაცია იყო, ახლა სულ სხვა ვითარებაა.

– დიახ, სისხლი არ იყო დაღვრილი და არც დაიღვარა. ზუსტად იგივე დამოკიდებულება და მიდგომა ჰქონდა პუტინს ამჟამადაც,

– მაშინ რატომ აღმოჩნდა არსებულ ვითარებაში?

– იმიტომ რომ, რაც პანდემია დაიწყო, ჩაიკეტა ბუნკერში, სადაც ინფორმაციის ნაკადი შემცირდა, პუტინთან ის ინფორმაცია მიდიოდა, რაც იცოდნენ, რომ მოეწონებოდა. ვისაც ეკითხებოდა, ყველანი აბარებდნენ პატაკს: რამდენიმე მილიარდი დავხარჯეთ უკრაინაში მეხუთე კოლონის შესაქმნელადო.

ყირიმიდან ხერსონში გადასასვლელი დანაღმული იყო და უკრაინელებმა განაღმეს 24 თებერვლამდე რამდენიმე დღით ადრე. ხერსონში ხალხს დილით 22 საათზე გაეღვიძა და რუსეთის ტანკები ნახა შესული. ვინ განაღმა? ამაზე ათობით წერილია დაწერილი უკრაინაში. ვინმე დაიჭირეს?

მეხუთე კოლონის გამო პუტინი დარწმუნებული იყო, რომ სპეცოპერაციას 48 საათში დაასრულებდნენ. ამას მას გარანტირებულად ეუბნებოდნენ. პუტინი ეუბნებოდა, ჯანდაბას თქვენი თავი, 24 საათს დაგიმატებთო.

– პუტინმა ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, მაგრამ რუსეთის მოქალაქეებს ომში წასვლა არ უნდათ, ქვეყნიდან გარბიან. ჩვენთანაც ბევრი მოდის, ჩვენს საზღვრებთან რიგებია, რატომ არ კეტავს საზღვრებს და რატომ უშვებს ახალგაზრდებს?

– ასეთივე რიგებია სხვა მოსაზღვრე ქვეყნების საზღვრებთანაც. რუსები ქვეყნიდან გარბიან. რუსეთი საზღვარს არ კეტავს იმიტომ, რომ ვერ ჩაკეტოს, ყველაფერს წალეკავენ, ძალა არ არის. რუსეთმა საზღვარი რომც ჩაკეტოს, მესაზღვრეები ფულს იღებენ (გაქანებული კორუფციაა) და უშვებენ.

დასავლეთმა მოახდინა იმის დემონსტრირება, რომ ბირთვულ მუქარებს არ შეუშინდება. ჯერ კიდევ თებერვლის ბოლოს დასავლეთიდან გერასიმოვი გააფრთხილა პირადად გენერალმა ნილმა (ნატოს გაერთიანებული შტაბების უფროსმა), ტაქტიკური იარაღიც რომ გამოიყენოთ, ჩვენი პასუხი მყისიერი და ძალიან ძლიერი იქნება. კერძოდ, ჩვეულებრივი კონდენციური იარაღით (არაბირთვულით) რუსეთში ყველა იმ წერტილს დავბომბავთ, რომელიც სტრატეგიულად აუცილებლად მიგვაჩნია. მათ შორის, ყოველთვის ვიცით, სად იმყოფება პრეზიდენტი პუტინი. ყოველ წუთში, სადაც უნდა იყოს დღე-ღამის განმალობაში, ჩვენ ის რადარზე გვყავს. პუტინმა უნდა იცოდეს, როგორც კი შევატყობთ (სპუტნიკებიდან აკონტროლებენ), გასცა ბრძანება იარაღის გამოყენებაზე, საპასუხო რეაქცია არ დააყოვნებსო.

„2008 წლის აგვისტოში რუსი ჯარისკაცები იმერეთსა და სამეგრელოში მოჯამაგირეებად უდგებოდნენ ქართველებს – სიმინდს ატეხინებდნენ, საჭმელი არ გვაქვსო“

მთელი ჯაჭვია, რომელიც უნდა წავიდეს ქსელში, რომ დაიწყონ შახტებიდან და საწყობებიდან იარაღის გამოტანა. „ჩემოდანჩიკში“ პულტებია, სადაც პრეზიდენტი კოდს კრეფს და მიიღებენ ბრძანებას, რომ პრეზიდენტმა ბრძანება გასცა, გამოყენებულ იქნეს ბირთვული იარაღი. იქამდე, სანამ შემსრულებლები არ დაიწყებენ ტექნიკის გამოყვანას (ურალთან და სხვაგან არის) მთელი რიგი საფეხურებია გასავლელი, ჯერჯერობით არავითარი ძვრა არ არის, ამერიკელებმა კი თავიანთი ძალები მზადყოფნაში მოიყვანეს. როგორც კი დაიწყება მოძრაობები, ამერიკა იმოქმედებს. მაშინვე იქნება უმკაცრესი პასუხი ჩვეულებრივი იარაღით დაბომბვით.

ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის ბრალდებით დაცვის პოლიციის თანამშრომლები დააკავეს

სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა თბილისსა და სამტრედიაში ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე შსს-ს დაცვის პოლიციის ორი თანამშრომელი დააკავა, ხოლო ამავე უწყების ერთ თანამშრომელს ბრალდება წარედგინა.

– სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ იანეთში 2021 წლის სექტემბრის თვეში და 2022 წლის 15 აგვისტოს, არასრულწლოვნის თანდასწრებით, ოჯახის წევრის მიმართ ძალადობასა და სიცოცხლის მოსპობის მუქარისთვის, დაკავებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი ს.ჯ. საქართველოს პროკურატურამ აღნიშნულ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126'მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 11, 151-ე მუხლი მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ბრალი 2022 წლის 29 სექტემბერს წარუდგინა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, 2022 წლის 20 მაისს და ამავე წლის 22 აგვისტოს, თბილისში, არასრულწლოვან შვილებზე ფიზიკური ძალადობის ბრალდებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულისთვის, დაკავებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი პ.ზ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად, 2022 წლის 7 სექტემბერს, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, მეუღლის და არასრულწლოვანი შვილების მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტზე მხილებული იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელი შ.ა. საქართველოს პროკურატურამ აღნიშნულ პირს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ბრალი 2022 წლის 30 სექტემბერს წარუდგინა, – ნათქვამია საგამოძიებო უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

სპეციალური საგამოძიებო სამსახური ზემოაღნიშნულ საქმეებზე აგრძელებს გამოძიებას.

მკვლელობა ზესტაფონის ქუჩაზე

„შეიყვანა, სუფრაზე მიიპატიჟა... სრულიად უმიზეზოდ 39 ჭრილობა მიაყენა“

თბილისში მოკლული 65 წლის კაცის შვილი „მთავარ არხთან“ ყვება, რომ გარდაცვლილს სხეულის არეში 39 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. რას მოჰყვა დაპირისპირება, უცნობია. როგორც მოკლულის შვილი ამბობს, 1 ოქტომბერს, საღამოს, ბრალდებულმა მოკლული სახლში შეიპატიჟა, სადაც მკვლელობა მოხდა.

– სამსახურს რომ მორჩა, სახლისკენ ჩამოდიოდა და ეს პიროვნება ქუჩაზე დახვდა. შეიყვანა თავისთან სახლში და სუფრაზე მიიპატიჟა. შემდეგ იქ პროცესში არ ვიცი იმ ადამიანს რა მოელანდა და სრულიად უმიზეზოდ 39 ჭრილობა მიაყენა. კვალის დაფარვის მიზნით, მთელი დღის განმავლობაში მასთან ჰყავდა და თვითონ მოძრაობდა, რომ არ შეემჩნიათ. გამთენიისას მთელ ქუჩაზე გამოიყვანა წამებით და ქუჩაზე დაადგო. ფსიქიკურად იყო დაავადებული ის პიროვნება და იმ მომენტში რა მდგომარეობაში იყო, რა მოუვიდა, რა მოელანდა კაცმა, არ იცის.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე 1 პირი დააკავეს. გამოძიება განზრახ მკვლელობის მუხლით მიმდინარეობს.

ნიკოლოზ ბასილაშვილი დოროყაშვილზე: „წლების განმავლობაში დარიგებული იყო არასამთავრობოებისგან, რა სიტყვა ეთქვა“

ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ბრალდებული ჩოგბურთელის ნიკოლოზ ბასილაშვილის სასამართლო პროცესზე მას და ყოფილ მეუღლეს, ნელი დოროყაშვილს შორის არსებული დაპირისპირების ამსახველ აუდიო და ვიდეომტკიცებულებებს იკვლევენ. სხდომაზე ნელი დოროყაშვილის მიერ გადაღებულ ვიდეომასალას აჩვენებენ, რომელიც მან გამომძიებლებს გამოძიების ეტაპზე წარუდგინა.

ვიდეოში დოროყაშვილი გამომძიებელს უყვება, რომ ამერიკაში, როცა მან ნიკოლოზ ბასილაშვილს ჩააკითხა, ქმარმა მასზე იძალადა.

– თმაშიც მწვდა, რამდენიმე დარტყმა იყო, ეს ვიდეო გადავიღე, რადგან დიდხანს გაგრძელდა ძალადობა. იმდენად აფექტში იყო, ტელეფონი რომ მეჭირა, ვერც ხვდებოდა, მაგრამ მეშინოდა, – განაცხადა დოროყაშვილმა გამომძიებელთან.

ვიდეოჩანაწერში რამდენიმე წამით ჩანს ნიკოლოზ ბასილაშვილი და ისმის ნელი დოროყაშვილის ტირილი.

– გამაგებინე, რატომ მირტყამ, რა ღირსი ხარ შენ, რომ ვინმე შენზე ტიროდეს, წადი აქედან, მომშორდი, რის გამო მირტყამ? ამას ლუკასი არ გაპატიებს, მომშორდი, რაში მჭირდები... ჩემს ცემას ლუკასი არასდროს გაპატიებს, – ისმის დაზარალებულის ხმა ვიდეოჩანაწერში.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ნიკოლოზ ბასილაშვილმა სასამართლოში განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ დოროყაშვილი არასამთავრობოების მიერ იყო დარიგებული, რომ ეს სიტყვები ეთქვა.

– წლების განმავლობაში დარიგებული იყო არასამთავრობოებისგან, რა სიტყვა ეთქვა ვიდეოში, რომ ეფექტური ყოფილიყო. ვიდეოს მომიშვერდა, რატომ მცემო. ეს იყო დაგეგმილი წლების განმავლობაში, რომ ეფექტური ყოფილიყო, – განაცხადა ბასილაშვილმა პროცესზე.

სხდომაზე აჩვენეს დოროყაშვილის მიერ გამომძიებლისთვის ნაჩვენები ფოტოსურათებიც, რაზეც დაზარალებული ამბობს, რომ კეკელიძეზე ავტომობილში მომხდარი ძალადობის შემდეგ, მეორე დღეს არის გადაღებული. ფოტოსურათზე დოროყაშვილს სხეულის სხვადასხვა ადგილზე დაზიანებები ეტყობა.

სასამართლო პროცესზე ასევე გამოიკვლიეს დოროყაშვილის მიერ ტელეფონით განხორციელებული ჩანაწერი. ერთ-ერთი ჩანაწერი გაკეთებულია ავტომანქანაში, სადაც ბასილაშვილი და დოროყაშვილი იმყოფებიან. ნიკოლოზ ბასილაშვილი დოროყაშვილს ეუბნება, რომ მას არ ენდობა.

– მე არ მჯერა შენი, შენ ყველანაირ საზღვრებს გასცდი. მე ურთიერთობა დავასრულე. შენ ხარ უსაქმური ადამიანი, – მიმართავს ბასილაშვილი დოროყაშვილს, რაზეც ის ასე პასუხობს: „ვერ იხსენებ, რატომ არ გჯერა ჩემი. ამის ფაქტი არ გაქვს“.

– მე არ მინდა შენთან ერთად კონტრაქტის ქვეშ ყოფნა, არ გენდობი. მე არ გენდობი შენ, ნელიკო. ძალიან ცუდად დაამთავრებ, დედას გეფიცები... შენ მატყუარა გოგო ხარ, სახლში ავუვარდი დედაშენს და ვაგინე? – მიმართავს ბასილაშვილი მეუღლეს.

ჩანაწერში ნიკოლოზ ბასილაშვილი ამბობს, რომ ის სასამართლოს სარჩელით იმ დღესვე მიმართავდა და ვალდებულებებისგან გათავისუფლდებოდნენ.

– შენ ქონება გაღელვებს მხოლოდ.... რატომ დაასკვენი, რომ აუცილებლად რაღაც უნდა წაგართვა.... მართლა გგონია, რომ მამაჩემი გართმევს ქონებას? – მიმართავს დოროყაშვილი მეუღლეს, რაზეც ის ასე პასუხობს: „მე არ მჯერა არც შენი და არც შენი მშობლების“, – მიმართავს ბასილაშვილი.

საქართველო-თურქეთის საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე საქართველოს 2 და თურქეთის 1 მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლებთან ერთად, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს საქართველოს 2 მოქალაქე – 1988 წელს დაბადებული გ.გ. და 1993 წელს დაბადებული კ.ს, ასევე, თურქეთის 1 მოქალაქე – 1977 წელს დაბადებული ი.ფ. ინფორმაციას საქართველოს სასაზღვრო პოლიცია ავრცელებს.

დანაშაული 2-დან 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები, თურქეთის მოქალაქე ჰ.გ.-ის მართვის ქვეშ არსებულ სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სამალავის მეშვეობით, სასაზღვრო გამტარი პუნქტი „სარფის“ გავლით, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარზე, მიგრანტის – სირიის არაბთა რესპუბლიკის მოქალაქე მ.ა.-ს უკანონოდ გადაყვანას შეეცადნენ.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-344-პრიმა მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს, – აღნიშნულია უწყების ინფორმაციაში.

ე.წ. ქოლცენტრების საქმეზე 4 პირი დააკავეს, ხოლო 8 პირს ბრალი წარედგინა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს კიბერდანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უცხო ქვეყნების ინტერნეტ-მომხმარებლების მიმართ განხორციელებულ თაღლითობის ფაქტზე 4 პირი დააკავეს, ხოლო 8 პირს ბრალი წარუდგინეს.

უწყების ინფორმაციით, დაკავებული არიან: 1972 წელს დაბადებული ზ.ს., 1991 წელს დაბადებული ე.ნ., 1995 წელს დაბადებული ი.კ. და 1994 წელს დაბადებული ა.მ.

ბრალი წარედგინათ: 1996 წელს დაბადებულ გ.მ.-ს, 1997 წელს დაბადებულ ნ.ვ.-ს, 1992 წელს დაბადებულ გ.თ.-ს, 1990 წელს დაბადებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს – მ.ქ.-ს, 1998 წელს დაბადებულ ი. მ.-ს, 1992 წელს დაბადებულ გ.კ.-ს, 1984 წელს დაბადებულ რუსეთის ფედერაციისა და ისრაელის სახელმწიფოს მოქალაქეს – ი.ვ.-ს და 1989 წელს დაბადებულ ბელგიის სამეფოს მოქალაქეს – გ.წ.-ს.

დანაშაული 7-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ი.ვ.-მ საქართველოში დაარეგისტრირა კომპანია, რომლის თანამშრომლები უცხო ქვეყნის, ძირითადად საფრანგეთის მოქალაქეებს, ინტერნეტბრაუზერში უგზავნიდნენ შეტყობინებას – „pop up“-ს, სადაც კატეგორიული ფორმით, ფრანგულ ენაზე ეწერა, რომ მათი კომპიუტერი დავირუსებული იყო და ხარვეზების გამოსწორებისათვის უნდა დაერეკათ მითითებულ ნომერზე. შეტყობინებას არ ჰქონდა გათიშვის ფუნქცია და მომხმარებლები კომპიუტერით ვეღარ სარგებლობდნენ. მომხმარებლები, რომლებიც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ კომპიუტერებს ჰქონდათ სერიოზული პრობლემა, რეკავდნენ შეტყობინებაში მითითებულ ნომერზე, რომლითაც სარგებლობდა ზემოხსენებული კომპანია. მათ პირველ ეტაპზე ესაუბრებოდნენ კომპანიის ქოლცენტრის თანამშრომლები, რომლებიც ეცნობოდნენ ფრანგული სახელებით, კიდევ უფრო მეტად არწმუნებდნენ პრობლემის სერიოზულობაში და მის მოგვარებას ჰპირდებოდნენ. მომხმარებლები, რომლებიც იჯერებდნენ, იხდიდნენ გარკვეულ საზღაურს სხვადასხვა ონლაინგადახდის სისტემების გამოყენებით, რომლებთანაც ი.ვ.-ს ჰქონდა დამყარებული კავშირი, რის შემდეგაც ზემოაღნიშნული კომპანიის ე.წ. IT-თანამშრომლები დისტანციური წვდომის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით შედიოდნენ დაზარალებულის კომპიუტერულ მოწყობილობებში და ახდენდნენ „pop up“-ის გათიშვას, ასევე გარკვეული პროგრამული უზრუნველყოფის დაყენებას, რათა დაზარალებულს შეჰქმნოდა ილუზია, რომ მის მიერ გადახდილი თანხის შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიისგან.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მართლსაწინააღმდეგო ქმედებებით დაზარალებულებს საერთო ჯამში მიადგათ 767.000 ევროზე მეტი ოდენობის მატერიალური ზიანი.

კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევის, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 284-ე, 180-ე და 194-ე მუხლებით მიმდინარეობს, – აღნიშნულია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

თეთნულდზე დაკარგული სამი ტურისტი გარდაცვლილი იპოვეს

სვანეთში, თეთნულდზე დაკარგული სამი ტურისტი გარდაცვლილი იპოვეს – ინფორმაციას სვანეთის სათემო რადიო ავრცელებს.

– დაკარგულების შესახებ ინფორმაცია ერთ-ერთის მეუღლემ გუშინ გაავრცელა. მისი ცნობით, მთამსვლელები 6 დღეა, რაც კონტაქტზე არ გამოსულან.

სამძებრო სამაშველო სამუშაოებში ჩართული იყვნენ ადგილობრივი სამაშველო ჯგუფი და კერძო სამაშველო ვერტმფრენი, რადგან სახელმწიფოს ასეთი ტიპის ვერტმფრენიც არ ჰყავს. გუშინ სამივე მთამსვლელი გარდაცვლილი იპოვეს. ამჟამად მიმდინარეობს გადმოსვენების სამუშაოები. მთამსვლელები ლიეტუვის მოქალაქეები არიან, – ნათქვამია ინფორმაციაში.

რატომ დაიწვა ავლაბარში 7 ბინა

ავლაბარში ღამით ხანძარი გაჩნდა. სპარტაკის ქუჩაზე ცეცხლი ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში გაჩნდა. ადგილობრივების თქმით, ერთ-ერთ სახლში ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პირს სიგარეტი იატაკზე დაუვარდა, რამაც ცეცხლი გააჩინა. მან მეზობლებს ცეცხლის გაჩენის შესახებ თავად შეატყობინა. ხანძარი გვერდით მდებარე ბინებზეც გავრცელდა. სულ დაიწვა 7 საცხოვრებელი ფართი. ხანძრის შედეგად დაშავებული არავინაა, თუმცა მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ბინები საცხოვრებლად უვარგისია.

შს მინისტრის მოადგილე: „ჭკვიანი კამერები“ უცხოურ ნომრებს აღიქვამს“

„ჭკვიანი კამერები“ უცხოურ ნომრებს აღიქვამს, მაგრამ ჯარიმა უნდა გაიგზავნოს საცხოვრებელ მისამართზე, რაც აღსრულების სირთულეს ქმნის – ვმუშაობთ, რომ ეს დარეგულირდეს, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან შს მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ განაცხადა.

მისი თქმით, არასწორია ინფორმაცია, რომ კამერები სანომრე ნიშნებს ვერ აფიქსირებენ, თუმცა საჭიროა აღსრულების მექანიზმების დახვეწა, რაზეც მუშაობენ.

„ჭკვიანი კამერები“ ამ ნომრებს აღიქვამს და ხდება ფიქსირება, დაჯარიმება, თუმცა არის გარკვეული სამართლებრივი პრობლემა, რადგან, როცა ვიდეოჯარიმით ხდება პირის დაჯარიმება, მოგეხსენებათ, ჯარიმა უნდა გაიგზავნოს მის საცხოვრებელ მისამართზე. ეს სირთულეს ქმნის და ვმუშაობთ, რომ დარეგულირდეს ეს საკითხი და მოხდეს ეფექტური აღსრულება, – განაცხადა დარახველიძემ.

ზუგდიდის სოფელ ზედა ეწერში ჩასარიცხი აპარატი მოიპარეს

ზუგდიდის სოფელ ზედა ეწერში ჩასარიცხი აპარატი მოიპარეს.

აპარატი მაღაზიის წინ იყო დამონტაჟებული. ის კერძო პირს ეკუთვნოდა. მეპატრონე მედიასთან არ აკონკრეტებს, რა რაოდენობის თანხა იყო აპარატში ან იყო თუ არა საერთოდ თანხა. მისი თქმით, მოხსნილი აპარატი მაღაზიიდან რამდენიმე მეტრში იპოვეს, თავად კი პოლიციისთვის არ მიუმართავს.

გერმანია, დანია და ნორვეგია უკრაინას 16 სლოვაკური ჰაუბიცით მოამარაგებენ

შემდეგი წლიდან გერმანია, დანია და ნორვეგია უკრაინას 16 სლოვაკური ჰაუბიცა Zuzana-2-ით მოამარაგებენ. ინფორმაციას სააგენტო „როიტერსი“ გერმანიის თავდაცვის უწყებაზე დაყრდნობით ავრცელებს.

გერმანიის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, შორი მოქმედების იარაღი, რომელსაც წუთში ექვსი ჭურვის 40-კმ მანძილზე გასროლა შეუძლია, სლოვაკეთში აიწყობა.

სამი ევროპული ქვეყანა სისტემებზე 92 მილიონ ევროს დახარჯავს.

ზელენსკი: „ლიმანი სრულად გაწმენდილია“

2 ოქტომბრის 12:30 საათის მდგომარეობით, ლიმანი სრულად გაწმენდილია ოკუპანტებისგან, – ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმირ ზელენსკიმ საკუთარ „ტელეგრამ“ არხზე გამოქვეყნებულ მოკლე ვიდეოში განაცხადა.

შეგახსენებთ, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა, კერძოდ, 81-ე სადესანტო ბრიგადამ, უკრაინის ეროვნული გვარდიის ნაწილებთან და კულჩიცკის ბატალიონთან ერთად გაათავისუფლა და კონტროლქვეშ აიყვანა დონეცკის ოლქის ქალაქი ლიმანი.

ცნობისთვის, რუსულმა ძალებმა უკრაინული ქალაქი ლიმანი მაისში დაიპყრეს და ოკუპანტებმა ის ლოჯისტიკურ და სატრანსპორტო ჰაბად გამოიყენეს დონეცკის რეგიონის ჩრდილოეთში ოპერაციებისთვის.

ფლორიდის შტატში ქარიშხალ „იანს“, სულ მცირე, 47 ადამიანი ემსხვერპლა

ფლორიდის შტატში ქარიშხალ „იანის“ მსხვერპლთა რიცხვმა 47-ს გადააჭარბა.

CNN-ის ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის „იანი“ პოსტტროპიკული ციკლონის დონემდე შესუსტდა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის საფრთხეს აღარ წარმოადგენს.

ქარიშხალმა ასევე ასობით სახლი დააზიანა. ბოლო მონაცემებით, ფლორიდის, სამხრეთ კაროლინას, ჩრდილოეთ კაროლინასა და ვირჯინიის შტატებში ელექტროენერგიის გარეშე მილიონზე მეტი ადამიანია დარჩენილი. 30 სექტემბერს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ქარიშხალ „იანის“ მოახლოების გამო სამხრეთ კაროლინაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

რომის პაპი: „ვევედრები ვლადიმერ პუტინს, შეაჩეროს ძალადობისა და სიკვდილის ეს სპირალი“

რომის პაპმა ფრანცისკემ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მოუწოდა, შეწყვიტოს ომი, უკრაინის პრეზიდენტს ვოლოდიმირ ზელენსკის კი – ღია იყოს მოლაპარაკებებისთვის.

მან ასევე განაცხადა, რომ ღრმად წუხს რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიების ანექსიის გამო.

– ღრმად ვწუხვარ იმ მძიმე ვითარებაზე, რომელიც შეიქმნა ბოლო დღეებში შემდგომი ქმედებებით, რომლებიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს. ეს ზრდის ბირთვული ესკალაციის რისკს, რაც იწვევს მთელ მსოფლიოში უკონტროლო და კატასტროფული შედეგების შიშს, – განაცხადა მან.

რომის პაპმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს სთხოვა, „შეაჩეროს ძალადობისა და სიკვდილის ეს სპირალი“, ხოლო უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმირ ზელენსკის – „ღია იყოს მშვიდობისთვის სერიოზული წინადადებებისთვის“.

– ჩემი მიმართვა, უპირველეს ყოვლისა, ეხება რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს და ვევედრები მას, შეაჩეროს ძალადობისა და სიკვდილის ეს სპირალი, თუნდაც საკუთარი ხალხის სიყვარულის გამო.

– მეორე მხრივ, მივმართავ თანაბრად იმედისმომცემი თხოვნით უკრაინის პრეზიდენტს, ღია იყოს სერიოზული სამშვიდობო წინადადებისთვის, – დასძინა მან.

მან ასევე მოუწოდა საერთაშორისო თანამეგობრობას, „გააკეთოს ყველაფერი, რათა დასრულდეს ომი სახიფათო ესკალაციაში ჩათრევის გარეშე“ და მხარი დაუჭიროს კონფლიქტის დიალოგის გზით მოგვარების ნებისმიერ მცდელობას.

უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე 60.000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცია ლიკვიდირებული

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ინფორმაციით, ომის დაწყებიდან დღემდე უკრაინელებმა 60.000-ზე მეტი რუსი ჯარისკაცის ლიკვიდაცია განახორციელეს.

ამავე ცნობით, მათგან 500-ზე მეტი ბოლო 24 საათის განმავლობაშია მოკლული.

უკრაინაში შეჭრის დღიდან რუსების საერთო დანაკარგები კი მოიცავს: 2.377 ტანკს, 4.975 ჯავშანტექნიკას, 1.405 ერთეულ საარტილერიო სისტემას, 264 საბრძოლო თვითმფრინავსა და 227 ვერტმფრენს.

ინდონეზიაში საფეხბურთო მატჩის შემდეგ მომხდარი არეულობის შედეგად, სულ მცირე, 174 ადამიანი დაიღუპა

ინდონეზიაში საფეხბურთო მატჩის შემდეგ მომხდარი ძალადობისა და ჭყლეტის შედეგად, სულ მცირე, 174 ადამიანი დაიღუპა, 180 კი დაშავდა.

როგორც მედია ადგილობრივ პოლიციაზე დაყრდნობით წერს, საფეხბურთო კლუბების „არემასა“ და „პერსებაია სურაბაიას“ გულშემატკივრები ერთმანეთს მას შემდეგ დაუპირისპირდნენ, რაც „არემა“ ანგარიშით 3-2 დამარცხდა. წაგებული გუნდის ათასობით მხარდამჭერი მოედანზე შეიჭრა, „პერსებაიას“ ფეხბურთელებს ის უკვე დატოვებული ჰქონდათ, თუმცა „არემას“ რამდენიმე მოთამაშეს, რომლებიც ჯერ კიდევ მოედანზე იმყოფებოდნენ, თავს დაესხნენ.

ჩხუბის დროს სამართალდამცველებმა ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, რამაც ხალხის ჭყლეტა და დახრჩობის შემთხვევები გამოიწვია.

34 ადამიანი კანჯურუჰანის სტადიონზე გარდაიცვალა, დანარჩენი კი – საავადმყოფოში. დაღუპულთა შორის ორი პოლიციელია.

ესპანეთში სამეცნიერო ფესტივალზე აფეთქების შედეგად 18 ადამიანი დაშავდა. მათ შორის 10 ბავშვია

ესპანეთში სამეცნიერო ფესტივალზე აფეთქების შედეგად 18 ადამიანი დაშავდა. მათ შორის 10 ბავშვია. ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა anews ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, აფეთქება ჟირონას უნივერსიტეტში სამეცნიერო ფესტივალზე მოხდა. როგორც ცნობილია, უნივერსიტეტის მეცნიერი 200-დან 300 ადამიანის თანდასწრებით ატარებდა ექსპერიმენტს, რომლის მიზანი იყო კასრში თხევადი აზოტისა და ცხელი წყლის რეაქციის ჩვენება, რასაც აფეთქება მოჰყვა. დაშავებულთა რიცხვი ამ მომენტისთვის 18 ადამიანს აღწევს. მათ შორისაა მეცნიერი და ათი 3-დან 13 წლამდე ასაკის ბავშვი. გამოცემის ინფორმაციით, დაზარალებულებს არ აღენიშნებათ დამწვრობები, თუმცა მათ უმეტესობას აფეთქებული ლითონს კასრის ნაწილებმა მიაყენა ზიანი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა მინდორში უიშვიათესი მონეტა იპოვა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა უილტშირის საგრაფოში იპოვა XV საუკუნის უიშვიათესი პორტუგალიური მონეტა, რომლის ფასი დაახლოებით 30 ათას ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

ბედმა დარემის საგრაფოს მკვიდრს, 62 წლის მიკ ედვარდსს გაუღიმა, რომელიც ლითონმაძიებლების გამოყენებით განძის ძებნითაა დაკავებული. 36 მილიმეტრის დიამეტრისა და 35 გრამი წონის მონეტა მამაკაცმა იმ დროს იპოვა, როდესაც ფერმის გვერდით მდებარე მინდვრის კვლევით იყო დაკავებული. იქ კი ის მეუღლესთან ერთად დასასვენებლად იმყოფებოდა.

ედვარდსის მიერ ნაპოვნი მონეტა 1495 და 1521 წლებშია გამოშვებული, როდესაც პორტუგალიას მეფე მანუელ I ბედნიერი მართავდა. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე ეს ასეთი მონეტის პოვნის პირველი შემთხვევაა.

იღბლიანმა ბრიტანელმა გადაწყვიტა, მონეტა გასაყიდად გაიტანოს აუქციონზე, რომელიც უახლოეს დღეებში გაიმართება.

უარყოფილმა ქალმა საყვარლის ცოლს მისი ინტიმური ფოტოსურათები გაუგზავნა

შოტლანდიის ქალაქ დანდის მკვიდრმა, 38 წლის აგნე ბალსინმა თავისი ყოფილი საყვარლის ინტიმური ფოტოსურათები მის მეუღლეს გაუგზავნა.

ქალმა მეუღლის ინტიმური შინაარსის ფოტოსურათები საკუთარ დაბადების დღეს მიიღო. საოლქო სასამართლოს ინფორმაციით, ბალსინი გაცოფდა, როდესაც გაიგო, რომ მისი ყოფილი საყვარლის მეუღლეს მათი რომანის, რომელიც რამდენიმე წელი გრძელდებოდა და 2020 წელს დასრულდა, არ სჯეროდა და ამიტომ გადაწყვიტა, საპირისპირო დაემტკიცებინა. თავდაპირველად ქალმა მამაკაცის მეუღლეს მისი შიშველი ფოტოსურათები გაუგზავნა წარწერით: „გილოცავ დაბადების დღეს“, შემდეგ კი ფოტოსურათები სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა.

ბალსინი პირადი ინტიმური ფოტოსურათების გავრცელების ბრალდებით დააპატიმრეს. მან აღიარა, რომ მამაკაცის ფოტოსურათები მისი თანხმობის გარეშე გამოაქვეყნა. მან ასევე აღიარა, რომ ინტიმური ფოტოსურათები იმ მიზნით გამოაქვეყნა, რომ ყოფილი საყვარლისა და მისი მეუღლის გულში შიში და ტკივილი გამოეწვია.

საბოლოოდ ბალსინს სასამართლომ 100 საათი საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოების შესრულება დააკისრა, ხოლო მისი მობილური ტელეფონი კონფისკაციას დაექვემდებარა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შედეგები

1 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონატი

არსენალი-ტოტენჰემი	3:1
ლივერპული-ბრაიტონი	3:3
ფულემი-ნიუკასლი	1:4
საუთჰემპტონი-ევერტონი	1:2
კრ.პალასი-ჩელსი	1:2
ბორნმუთი-ბრენტფორდი	0:0
ვესტ ჰემი-ვულვზი	2:0

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	8	7	0	1	20-8	21
2.სიტი	7	5	2	0	23-6	17
3.ტოტენჰემი	8	5	2	1	19-10	17
4.ბრაიტონი	7	4	2	1	14-8	14
5.ჩელსი	7	4	1	2	10-10	13
6.მანჩესტერი	6	4	0	2	8-8	12
7.ნიუკასლი	8	2	5	1	12-8	11
8.ფულემი	8	3	2	3	13-15	11
9.ლივერპული	7	2	4	1	18-9	10
10.ბრენტფორდი	8	2	4	2	15-12	10
11.ევერტონი	8	2	4	2	7-7	10
12.ბორნმუთი	8	2	3	3	6-19	9
13.ლიდსი	6	2	2	2	10-10	8
14.ასტონ ვილა	7	2	1	4	6-10	7
15.ვესტ ჰემი	8	2	1	5	5-9	7
16.საუთჰემპტონი	8	2	1	5	8-13	7
17.კრ.პალასი	7	1	3	3	8-11	6
18.ვულვზი	8	1	3	4	3-9	6
19.ნოტინგემი	7	1	1	5	6-17	4
20.ლესტერი	7	0	1	6	10-22	1

ინგლისი. ჩემპიონატი

ბლექბერნი-მილუოლი	2:1
ბლექპული-ნორვიჩი	0:1
ბრისტოლი-ქპრ	1:2
ვესტ ბრომვიჩი-სუონსი	2:3
კარდიფი-ბარნლი	1:1
ქოვენთრი-მიდლსბრო	1:0
რედინგი-ჰადერსფილდი	3:1
როტერჰემი-უიგანი	0:2
სანდერლენდი-პრესტონი	0:0
შეფილდი-ბირმინგემი	1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აინტრახტი-უნიონი	2:0
ვოლფსბურგი-შტუტგარტი	3:2
კიოლნი-დორტმუნდი	3:2
ლაიფციგი-ბოხუმი	4:0
ფრაიბურგი-მაინცი	2:1
ვერდერი-გლადბახი	5:1

სატურნირო ცხრილი:

1.უნიონი	8	5	2	1	15-6	17
2.ფრაიბურგი	8	5	2	1	12-6	17
3.ბაიერნი	8	4	3	1	23-6	15
4.დორტმუნდი	8	5	0	3	11-10	15
5.აინტრახტი	8	4	2	2	16-13	14
6.ჰოფენჰაიმი	7	4	1	2	12-7	13
7.კიოლნი	8	3	4	1	14-10	13
8.ვერდერი	8	3	3	2	18-13	12
9.გლადბახი	8	3	3	2	11-10	12
10.ლაიფციგი	8	3	2	3	13-12	11
11.მაინცი	8	3	2	3	8-12	11
12.აუგსბურგი	7	3	0	4	5-10	9
13.ვოლფსბურგი	8	2	2	4	8-14	8
14.ჰერტა	7	1	3	3	7-9	6
15.შალკე	7	1	3	3	8-14	6
16.შტუტგარტი	8	0	5	3	9-13	5
17.ლევერკუზენი	8	1	2	5	9-16	5
18.ბოხუმი	8	0	1	7	5-23	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ფიურტი-ზანდჰაუზენი	1:1
ფორტუნა-არმინია	4:1
კილი-ჰანზა	1:1
ზ.პაული-ჰაიდენჰაიმი	0:0

ესპანეთი. ჩემპიონატი დივიზიონი

კადისი-ვილიარეალი	0:0
ხეტაფე-ვალიადოლიდი	2:3
სევილია-ატლეტიკო	0:2
მალიორკა-ბარსელონა	0:1

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	7	6	1	0	19-1	19
2.რეალი	6	6	0	0	17-6	18
3.ბილბაო	7	5	1	1	16-4	16
4.ბეტისი	6	5	0	1	10-4	15
5.ატლეტიკო	7	4	1	2	12-6	13
6.ვილიარელი	7	3	3	1	10-2	12
7.ოსასუნა	6	4	0	2	7-5	12
8.სოსიედადი	6	3	1	2	7-8	10
9.ვალენსია	6	3	0	3	10-5	9
10.მალიორკა	7	2	2	3	6-8	8
11.ხირონა	6	2	1	3	7-7	7
12.სელტა	6	2	1	3	8-13	7
13.ვალიადოლიდი	7	2	1	4	6-13	7
14.რაიო	6	2	1	3	7-8	7
15.ხეტაფე	7	2	1	4	8-15	7
16.სევილია	7	1	2	4	7-13	5
17.ესპანიოლი	6	1	1	4	7-12	4
18.ალმერია	7	1	1	5	4-11	4
19.კადისი	7	1	1	5	1-14	4
20.ელჩე	6	0	1	5	2-16	1

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

მირანდესი-ლას პალმასი	3:3
რასინგი-მალაგა	0:0
ანდორა-ლევანტე	3:1
ვილიარეალი ბ-ბურგოსი	0:0

იტალია. სერია ა

ნაპოლი-ტორინო	3:1

ნაპოლის მე-3 გოლი

ხვიჩა კვარაცხელიამ გაიტანა

ინტერი-რომა	1:2
ემპოლი-მილანი	1:3

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	8	6	2	0	18-5	20
2.ლაციო	8	5	2	1	17-5	17
3.ატალანტა	7	5	2	0	11-3	17
4.მილანი	8	5	2	1	16-9	17
5.უდინეზე	7	5	1	1	15-7	16
6.რომა	8	5	1	2	10-8	16
7.ინტერი	8	4	0	4	14-13	12
8.იუვენტუსი	7	2	4	1	9-5	10
9.ტორინო	8	3	1	4	6-10	10
10.ფიორენტინა	7	2	3	2	7-6	9
11.სასუოლო	7	2	3	2	5-8	9
12.სპეცია	8	2	2	4	7-15	8
13.სალერნიტანა	7	1	4	2	10-8	7
14.ემპოლი	8	1	4	3	7-10	7
15.ბოლონია	7	1	3	3	7-10	6
16.ლეჩე	7	1	3	3	6-8	6
17.ვერონა	7	1	2	4	6-13	5
18.მონცა	7	1	1	5	4-14	4
19.კრემონეზე	7	0	2	5	5-14	2
20.სამპდორია	7	0	2	5	4-13	2

იტალია. სერია ბ

ბარი-ბრეშა	6:2
კალიარი-ვენეცია	1:4
მოდენა-რეჯინა	1:0
პალერმო-ზიუდტიროლი	0:1
პარმა-ფროზინონე	2:1
სპალი-ჯენოა	0:2
ჩიტადელა-ტერნანა	0:2
პერუჯა-პიზა	1:3

საფრანგეთი. ლიგა 1

სტრასბური-რენი	1:3
პსჟ-ნიცა	2:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	9	8	1	0	28-5	25
2.მარსელი	9	7	2	0	19-5	23
3.ლორიანი	8	6	1	1	17-12	19
4.ლანსი	8	5	3	0	16-7	18
5.რენი	9	4	3	2	17-9	15
6.მონაკო	8	4	2	2	13-12	14
7.ლიონი	8	4	1	3	16-10	13
8.ლილი	8	4	1	3	16-16	13
9.მონპელიე	8	4	0	4	19-15	12
10.ტრუა	8	3	1	4	14-16	10
11.კლერმონი	8	3	1	4	9-13	10
12.ტულუზა	8	2	2	4	9-13	8
13.ნიცა	9	2	2	5	6-11	8
14.ანჟე	9	2	2	5	9-21	8
15.ნანტი	8	1	4	3	8-11	7
16.ოსერი	8	2	1	5	8-19	7
17.რეიმსი	8	1	3	4	10-17	6
18.სტრასბური	9	0	5	4	7-12	5
19.ბრესტი	8	1	2	5	8-18	5
20.აიაჩო	8	1	1	6	4-11	4

საფრანგეთი. ლიგა 2

სტ.ეტიენი-გრენობლი	2:2
ანსი-ბასტია	0:2
ვალანსიენი-სოშო	2:1
დიჟონუ-ლე ავრი	0:0
კაენი-კევიი	0:1
მეცი-პო	1:0
ნიმი-პარიზი	0:1
ნიორი-გენგამი	0:0
როდეზი-ამიენი	0:1

ნიდერლანდები. ეროვნული

კამბური-პსვ	3:0
გრონინგენი-ალკმაარი	1:4
აიაქსი-იგლზი	1:1
ტვენტე-ვიტესი	3:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ვიზელა-პორტიმონენშე	1:0
შავიში-ეშტორილი	1:1
გიმარაეშში-ბენფიკა	0:0

ბელგია. ა დივიზიონი

ლეუვენი-სენ ჟილუა	0:3
ვესტერლო-ვარეგემი	2:0
ოსტენდე-გენკი	1:2
ბრიუგე-მეხელენი	3:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლუშტენაუ-ვოლფსბერგერი	1:3
ტიროლი-რაპიდი	0:5
ზალცბურგი-ლინცერი	1:1

შოტლანდია. ჩემპიონატი

ჰარტსი-რეინჯერსი	0:4
აბერდინი-კილმანროკი	4:1
დ.იუნაუტედი-კილმანროკი	1:2
როსი-ჰიბერნიანი	0:2
სელტიკი-მოზერველი	2:1
სტ.მირენი-ლივინგსტონი	2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-გაზიანთები	1:0
ანკარაგიუჯიუ-ბაშაქშეჰირი	1:2
ქაისერი-ტრაბზონი	1:2
ადანა-გალათასარაი	0:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-ლევადიაკოსი	1:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ბაზელი-სტ.გალენი	3:2
გრასჰოპერსი-ციურიხი	1:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ჩესკე	1:2
ბოჰემიანსი 1905-პლზენი	1:1
ბოლესლავი-სიგმა	1:1
სპარტა-ჰრადეც კრალოვე	2:1

პოლონეთი. ექსტრალიგა

გურნიკი-ზაგლებიე	2:3
ლეხი-ლეგია	0:0
პოგონი-ლეხია	2:1

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-უიპეშტი	0:4
დებრეცენი-ჰონვედი	4:3
ვაშაში-ზალაეგერსეგი	1:1

უკრაინა. ჩემპიონატი

ინგულეცი-ვორსკლა	0:1
ლვოვი-დნიპრო	0:3
მეტალისტი-შახტარი	1:6

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ჰამარბი	0:0
დეგერფოსური-დიურგარდენი	3:0

ნორვეგია. ეროტესლიგა

ტრომსო-მიოლდე	0:1
ვალერენგა-სტრომგოდსეტი	4:0
ლილესტრიომი-ბოლო	1:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

აიას პირველობა თანაქალაქელმა არესმა ჩამოართვა

ყაზბეგი-არესი 12:13

აქამდე ჩემპიონატს ქუთაისის აია ლიდერობდა, მაგრამ მისი ადგილი თანაქალაქელმა არესმა დაიკავა, რომელმაც სტეფანწმინდის ყაზბეგს ბოლო წუთზე გატანილი ჯარიმით 13:12 აჯობა და მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი აგემა.

ახლა არესს, ყაზბეგსა და ლელოსარასენსს თანაბარი ქულები აქვთ, მაგრამ დამატებითი მაჩვენებლებით პირველ ადგილზე რიონისპირული გუნდია.

გორში გამართული შეხვედრის პირველი ტაიმი უქულო გამოდგა. მეორე ტაიმი ყაზბეგის შეტევებით დაიწყო და იაგო გელაძემ მარცხენა ფრთაზე სივრცეში შეუტია. მის შეჩერებას რამდენიმე მცველი ამაოდ შეეცადა. გარდასახვა არაზუსტი იყო. საპასუხოდ არესმა ტემპს უმატა, 55-ე წუთზე ჯარიმა გამოიმუშავა და გიორგი თევდორაძემ ის 3 ქულად აქცია.

მალევე გიორგი შუკაკიძემ წითელი ბარათი მიიღო და ყაზბეგი დარჩენილი დრო კაცნაკლული დარჩა. ამას ისიც დაერთო, რომ 61-ე წუთზე არესმა მოლით შეუტია და გოგა კობახიძემ სტუმრები დააწინაურა, თევდორაძემ კი გარდასახა.

ყაზბეგს საპასუხო ლელოს გასატანად 3 წუთი დასჭირდა. ხაზი კვლავ მარცხენა ფრთაზე გაიჭრა, რაქიდან ბურთით გიგა კაციტაძემ შეუტია და ძალისმიერი ლელო გაიტანა. ოთარ ტალახაძემ გარდასახვით ყაზბეგს 2-ქულიანი უპირატესობა დაუბრუნა.

სტეფანწმინდელები ბოლო წუთამდე კარგად იცავდნენ თავს, მერე კი შეტევაში, კარის წინ 45 მეტრში დაჯარიმდნენ. თევდორაძემ ბურთი ძელებს შუა გააძვრინა და არესს გამარჯვების 4 ქულა მოუტანა – 13:12.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გელა მახარაშვილი გახდა.

ხვამლი-ლელო 27:29

ლელომ სანახაობრივ და დაძაბულ შეხვედრაში იმარჯვა და ჯერჯერობით ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია.

მაყურებელმა ჯამში 8 ლამაზი ლელო იხილა. სტუმრებმა 5 ლელო გაიტანეს და 3 გაუშვეს. ხვამლს კი ბონუსი შეხვდა.

პირველი ტაიმი ლელოსი იყო და 19:7 მოიგო, მეორეში კი მასპინძლებმა გაიბრძოლეს, სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ მეტისთვის დრო არ ეყოთ – 27:29.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გაგა ქევხიშვილი გახდა.

ყოჩები-აია 23:20

ბოლნისის ყოჩებმა აქამდე დაუმარცხებელ აიას რაგბი პლატოზე უმასპინძლა და დაძაბულ შეხვედრაში 23:20 დაამარცხა.

დროის უმეტესი ნაწილი ბოლნისელები უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ დისციპლინაში პრობლემები ჰქონდათ. პირველ ტაიმში სინბინის გამო 10-10 წუთით 4 მორაგბე დაკარგეს და აიამ უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ყოჩებმა მაინც შეძლო სეზონის მესამე გამარჯვების მოპოვება.

მიუხედავად იმისა, რომ აიამ პირველი ტაიმი 14:11 დაამთავრა და მეორეშიც ლიდერობდნენ, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებულმა სანდრო ფურცხვანიძე ლელო გაიტანა, მალაღურაძემ კი გარდასახა და ყოჩები დაწინაურდა.

მატჩის მიწურულს ბოლნისელები კაცნაკლული კიდევ ერთხელ დარჩნენ, მაგრამ თავი კარგად დაიცვეს და 23:20 გაიმარჯვეს.

ბათუმი-ლოკომოტივი 45:0

საქართველოს ჩემპიონმა ბათუმმა თბილისის ლოკომოტივს 7 უპასუხო ლელო გაუტანა და დიდი ანგარიშით, 45:0 დაამარცხა.

აქამდე ზღვისპირელები დიდ 10-ში შესუსტებული შემადგენლობით თამაშობდნენ, რადგან გუნდს ევროპის სუპერთასზე უწევს გამოსვლა და კალენდარი ერთმანეთს ემთხვევა. საქართველოს რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტი კი ბათუმელებს ჯიბრზე ათამაშებს და...

ბათუმი მე-6 ადგილზე აღზევდა, ლოკომოტივი კი 1 ქულით ბოლო საფეხურზეა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე მამუკა ნინიძე გახდა.

ხარები-აკადემია 20:15

რუსთავის ხარებმა თბილისის აკადემიას დაძაბულ ბრძოლაში 20:15 სძლია და სეზონის მეორე გამარჯვება მოიპოვა.

სანახაობრივ შეხვედრაში აკადემია პირველი გამარჯვებისთვის იბრძოდა, მაგრამ მასპინძლები მედგრად დაუხვდნენ და მხოლოდ ნუგეშის ქულა აიღეს.

ხარებმა ტაიმი 20:10 მოიგო და თითქოს მატჩის ბედი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ შესვენების შემდეგ აკადემია უპირატესობას ფლობდა და 64-ე წუთზე შეამცირა.

დარჩენილ დროში სალელოვე შანსი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა და ხარებმა 20:15 იმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე რუსთაველი გიორგი გოგოლაძე გახდა.

სატურნირო ცხრილი:

1.არესი	4	3	0	1	107-74	14
2.ყაზბეგი	4	3	0	1	96-61	14
3.ლელო	4	3	1	0	111-89	14
4.ყოჩები	4	3	0	1	102-70	13
5.აია	4	2	1	1	108-82	12
6.ბათუმი	4	2	0	2	104-91	9
7.ხარები	4	2	0	2	84-92	9
8.ხვამლი	4	1	0	3	96-100	7
9.აკადემია	4	0	0	4	53-125	1
10.ლოკომოტივი	4	0	0	4	55-132	1

სკანდალი ქართულ ფეხბურთში

უქმეებზე საქართველოში საფეხბურთო-კრიმინალური სკანდალი გავრცელდა – ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო ნაკრების წევრებსა და ფედერაციის მაღალჩინოსნებს სიცოცხლის მოსპობითა და „განახევრებით“ ემუქრებიან.

მუქარის შემცველი ხმოვანი შეტყობინებები კი ნაკრების წევრებმა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ მიიღეს. ავტორი ნოდარ ნიშნიანიძე წითელი ცირკულარით იძებნება.

ნიშნიანიძე საქართველოს ნაკრების ფეხბურთელის, ვაკო ყაზაიშვილის ცოლისძმაა და გაბრაზებულია იმის გამო, რომ ერთა ლიგის მატჩში, როდესაც საქართველომ ჩრდილოეთ მაკედონიას თბილისში 2:0 მოუგო, მისი სიძე არ ათამაშეს.

ნიშნიანიძე ეჭვობს, რომ ყაზაიშვილი ძირითად შემადგენლობაში მასთან ნათესაური კავშირის გამო ვერ მოხვდა.

მუქარის შეტყობინება მიუვიდა საქართველოს ნაკრების მენეჯერ ვლადიმერ დვალიშვილს, რომელსაც პირდაპირ ეუბნება, რომ ეს ინფორმაცია ყველას გადასცეს და რეაგირება მოახდინონ, თორემ პასუხს ყველას მოსთხოვს. ნიშნიანიძე ნაკრების ევროპული შეკრების დროს ადგილზე ლაშა სიხარულიძესთან (მეტსახელად „სიხო“) ერთად ჩავა და „გაანახევრებენ“.

ნიშნიანიძეს ამ თემაზე გუნდის კაპიტან გურამ კაშასთანაც უსაუბრია.

ამ სიუჟეტს თავად ვაკო ყაზაიშვილი სოციალური ქსელით გამოეხმაურა:

– პირველ რიგში, ქართველ ფეხბურთის ქომაგებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს ბოდიშს ვუხდი ფაქტისთვის, რომელიც ჩემთვის ყველაზე მეტად მიუღებელია. ფეხბურთის თამაში 7 წლის ასაკში დავიწყე. ყველამ, ვინც დღეს ჩვენს დიდ საფეხბურთო ოჯახს წარმოადგენს, იცის, რამდენი შრომა ჩავდე ჩემი კარიერის შენებაში.

პირველად ნაკრებში 9 წლის წინ გამომიძახეს და ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღე ჩემს კარიერაში. ეროვნული ნაკრების გარეშე ფეხბურთელის კარიერული ცხოვრება სრულფასოვანი არასოდესაა. ყველა ფეხბურთელისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეული სწორედ ნაკრებია და მეც არ ვარ გამონაკლისი.

ცხოვრებაში არავინ დამჭირვებია მინდორზე მოსახვედრად. ყველამ, ვისაც ფეხბურთი უყვარს, იცის, რომ ჩემ მიერ გატანილი გოლებისა და დაშვებული შეცდომების უკან მხოლოდ მე ვდგავარ – არავინ და არაფერი, ჩემი შრომისა და ფეხბურთის სიყვარულის გარდა.

ყველამ, ვინც წარმოადგენს ნაკრებსა და ფედერაციას, იცის, რომ ეს ჩანაწერი ყველაზე ბოლოს მოვისმინე. თქვენთვის ამ ჩანაწერში ნაკრების წევრებზე საუბრობენ, ხოლო ჩემთვის – მეგობრებზე. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებით მძიმე და მიუღებელია საუბრის შინაარსი.

ნაკრებს აქვს ისტორიული შანსი და ამ შანსის გამოსაყენებლად ყველაფერს გავიღებ, ყველანაირ პირადულ წინააღმდეგობას გადავლახავ. ჩემთვის მთავარია, არ დაზარალდეს ჩვენი დიდი საფეხბურთო ოჯახი და ამიტომ მზად ვარ, მივიღო ფეხბურთის ფედერაციის ნებისმიერი გადაწყვეტილება.

ინფორმაციის საფუძველზე, სადაც საუბარი საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებისა და ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლების მიმართ მუქარის შემცველი შინაარსის გზავნილებს ეხებოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო.

წარსულში ნასამართლევი პირის ნოდარ ნიშნიანიძის მიერ განხორციელებული, სავარაუდოდ, მუქარის შემცველი განცხადებების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით მიმდინარეობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმაც გააკეთა:

– ფაქტთან დაკავშირებით შესაბამის სამსახურებს ინფორმაცია უკვე აქვთ. ფეხბურთის ფედერაციისთვის ყოველთვის მთავარია თითოეული ჩვენი წევრის, ჩვენი ფეხბურთელის უსაფრთხოება. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ არავის ჰქონდეს საშუალება, გუნდში დაძაბულობა და გაუგებრობა შემოიტანოს. დღეს ჩვენი ნაკრები არის ერთიანი და დგას წარმატების გზაზე. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს წარმატება ერთად განვახორციელოთ და გავაგრძელოთ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ღაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲗ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲡᲐᲑᲣᲠᲗᲐᲚᲝ, ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ 166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲤᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ეროვნული გვარდიის სოხუმის მე-5 მოტომსროლელი ბატალიონის ვეტერანები ღრმა მწუხარებითა და გულისტკივილით იუწყებიან საქართველოსთვის თავდადებული მამულიშვილის

მერაბ ჩაკაბერიას

უდროოდ გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ძმაო, მერაბ, შენ სრულიად ახალგაზრდამ გადაწყვიტე, ჩამდგარიყავი შენთვის საფიცარი საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა რიგებში. ამ ბრძოლებში მიღებული მძიმე ჭრილობების მიუხედავად, შენ კვლავ ჩადექი თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში და შენი ვაჟკაცური შემართებით ამხნევებდი თანამებრძოლებს. მადლობა შენ, ძმაო, „დრანდა“, უშურველი სიყვარულის გაცემისათვის, წრფელი, მეგობრობისათვის, თავდადებისა და თანადგომისათვის.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ᲤᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲘᲡᲐᲛᲓᲔ

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 2. ელექტრონული საშუალებებით გაგზავნილი მოკლე ტექსტური შეტყობინება; 3. რაჭა-ლეჩხუმის ძველი სახელწოდება; 4. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 5. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 7. ხეობა კახეთში; 11. ხელოვნური არხების სახელწოდება შუა აზიაში; 12. მოსახლეობის რაოდენობით ყველაზე დიდი ქალაქი ჩინეთში; 13. ხავერდის მსგავსი, ხშირხაოიანი ბამბის ქსოვილი; 14. ტაოს კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი; 15. ფულის სარგებლით გამესესხებლის, მევახშის ძველი სახელწოდება; 17. უნგრელი ინჟინერი, პოპულარული თავსატეხის შემქმნელი; 19. კატარის დედაქალაქი.

თარაზულად: 5. ოდესის ძველი სახელწოდება; 6. სამშენებლო მინერალი, მოსაპირკეთებელი მასალა; 8. ალასკის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. ალპინისტთა ბანაკი სვანეთში; 10. ნიადაგში ბოძების ჩასარჭობი მექანიკური ხელსაწყო; 11. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე; 13. შტატი აშშ-ის აღმოსავლეთში; 14. წვრილი ხმა მრავალხმიან სიმღერაში; 16. ცნობილი გერმანელი ფეხბურთის მსაჯი; 18. გერმანული პარფიუმერიული ფირმა; 20. ქვიანი და ქვიშიანი ნიადაგი; 21. ქართველი ველომრბოლელი, მსოფლიო ჩემპიონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბაიათი; 2. სადაფი; 3. გორდი; 5. ლიდა; 6. ჩიტაია; 11. ფერეიდანი; 13. თურინჯი; 14. კოკაინი; 15. დიოგენი; 19. სურო.

თარაზულად: 1. ბუნდესტაგი; 4. აპალაჩი; 7. იაგუნდი; 9. დროზერა; 10. ოფოფი; 12. ვალენსია; 16. კარლსონი; 17. ერლიფტი; 18. ბანდერასი; 20. ნეპტუნი; 21. ზილი; 22. გორდონი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მერანო; 2. კიბუზი; 3. გაუტამა; 4. ლიკეუმი; 5. სეპტიმა; 7. სამსალა; 11. შარმი; 12. ბისტრო; 13. კოლიზია; 14. კორტესი; 15. კოიოტი; 17. ნაბობი; 19. ლოქო.

თარაზულად: 5. სომელიე; 6. რევანში; 8. ცემი; 9. სანდუ; 10. იუმორი; 11. შაჰი; 13. კარნავალი; 14. კურსი; 16. ანეტო; 18. სპილო; 20. სანქცია; 21. ტყიბული.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8291

ევრო — 2.7623

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1329

100 რუსული რუბლი — 4.7854

ამინდის პროგნოზი 3 ოქტომბრისათვის

კვარაცხელიამ გოლი ისევ გაიტანა

ხვიჩა კვარაცხელია განაგრძობს თავის ტრიუმფალურ გამოსვლას ნაპოლიში. ამჯერად ქართველმა შემტევმა ტორინოს კარი აიღო და ნაპოლის მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა. კვარაცხელიამ გოლის გატანა 37-ე წუთზე მოახერხა და მან ეს ჩვეულ სტილში, სოლორეიდის შემდეგ გააკეთა. მატჩის შემდეგ სპალეტიმ კვარაცხელია შეაქო და თქვა, რომ ის ძალიან კარგ ფორმაშია.

სადიო მანე: „ახალი გამოწვევები მჭირდებოდა“

მიუნხენის ბაიერნის ახალწვეულმა სადიო მანემ თავის ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ მან ლივერპული იმიტომ დატოვა, რომ ახალი გამოწვევები სჭირდებოდა. მანეს თქმით, ის ბაიერნში ბედნიერია და ცდილობს, გუნდისთვის მაქსიმალურად სასარგებლო იყოს: „ბაიერნი შესანიშნავი გუნდია და აქ იმიტომ ვარ, რომ ტიტულები მოვიგო და გუნდს წარმატების მიღწევაში დავეხმარო. ლივერპული ძალიან მიყვარს, მაგრამ ეს გუნდი წარსულში დარჩა“.

მბაპე: „მიხარია, რომ პსჟ-ს მოგებაში დავეხმარე“



პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ ნიცასთან მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა და პსჟ-ს მოგებინა. მატჩის შემდეგ კილიანმა განაცხადა, რომ ყოველთვის ბოლომდე იხარჯება თავისი გუნდისთვის: „მიხარია, რომ გოლი გავიტანე, მაგრამ მთავარი გუნდის გამარჯვებაა, რადგან პსჟ ყოველთვის ცდილობს, ყველა თამაში მოიგოს და ჩვენი მიზანი ეს არის. წელს ყველა ტიტული ჩვენ უნდა დაგვრჩეს“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ ბრუნდება

გახმაურებული ქართული სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ ბრუნდება. რუსკა ქარქაშაძის, ეკა დემეტრაძის, თორნიკე გოგრიჭიანისა და სხვა ცნობილი მსახიობების გმირებს მაყურებელი უახლოეს მომავალში იხილავს.

„ხელოვნური სუნთქვა“ ქართული დრამატული სერიალია, რომელიც „ფორმულა კრეატივმა“ „რუსთავი 2“-ის დაკვეთით გადაიღო. სერიალის მთავარი გმირია ახალგაზრდა ექიმი შოთიკო. ის მარტოხელა მამაა, რომელიც 11 წლის გოგონასთან, მელანოსთან ერთად ცხოვრობს. მამა-შვილის ურთიერთობა იდეალურია, თუმცა მათ ბედნიერებას შავ ღრუბელ აწევს ახალგაზრდა დედის სიკვდილი. მათ ცხოვრებაში ახალი ადამიანი შემოდის – თამუნა. თამუნა ჟურნალისტია, მწერლობაზე მეოცნებე ქალი, რომელიც შოთიკოსა და მელანოს იდილიას თავდაყირა დააყენებს. სერიალი გვიყვება გმირების დრამატიზმით სავსე ისტორიას, სადაც არ არსებობს კითხვაზე პასუხი – რამდენის დათმობა შეუძლია ადამიანს ბედნიერებისათვის.

„კავეაპლუსის“ ინფორმაციით, „ხელოვნური სუნთქვა“ ბრუნდება:

– დიდი ამბავია! მონატრებული ქართული სერიალი „ხელოვნური სუნთქვა“ ახალი გამაოგნებელი სეზონით ბრუნდება „კავეაპლუსზე“.

კარგად ნაცნობი და საყვარელი გმირების უახლეს თავგადასავლებს მხოლოდ ჩვენს ონლაინკინოთეატრში იხილავთ ძალიან, ძალიან მალე, – ნათქვამია „კავეაპლუსის“ ოფიციალურ განცხადებაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 ოქტომბრისათვის

ვერძი – ოჯახში პატარა გაუგებრობა შეგექმნებათ. იყავით კეთილგონიერი და მომთმენი. **კურო** – პროვოკაციული დღეა. კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია. ერიდეთ კამათს ოჯახის წევრებთან. **ტყუპები** – მწვავდება ქრონიკული დაავადებები. ილუზიებს არ აჰყვეთ. იყავით რეალისტი. **კირჩხიბი** – ერთი შეხედვით, კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა, არ არის გამორიცხული, მცირედი სანერვიულო შეგხვდეთ. საქმეს მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. **ლომი** – გეგმები შეიმუშავეთ და მათ რეალიზებას თამამად შეუდექით. ვარსკვლავები გმფარველობენ. **ქალწული** – სამოგზაუროდ, მივლინებაში წასვლა სასურველი არ არის. კარგი იქნება, თუ ამ დღეს სახლში გაატარებთ. **სასწორი** – ნაყოფიერი დღეა. მიზანს ადვილად მიაღწევთ. შრომა დაგიფასდებათ. **ღრიანკალი** – თავს კარგად გრძნობთ. მიენდეთ განსაკუთრებით გამახვილებულ ინტუიციას. **მშვილდოსანი** – საქმეში წინსვლა გელით. რომანტიკული ურთიერთობისაგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – აქტიურობა ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. შემოქმედებითი დღეა. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა სურვილების ასრულების კუთხით. მოსალოდნელია სასიამოვნო ცვლილებები პირად ცხოვრებაში. **თევზები** – ყოველგვარი ურთიერთობა ნორმალიზდება. საკუთარ ავტორიტეტს გაუფრთხილდით.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– როდესაც ფული გინდა, ნაზი და ალერსიანი ხდები.

– კი მაგრამ, მე ხომ ყოველთვის ნაზად და ალერსიანად გექცევი.

– სწორედ მაგას არ ვამბობ?!

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ჩემი ნაცნობი თეატრში იყო სპექტაკლზე, მაგრამ, იმდენად მოსაწყენი პიესა აღმოჩნდა, რომ მესამე აქტს აღარ დაელოდა და წამოვიდა. ამას კი დიდი სკანდალი მოჰყვა.

– რატომ?

– პიესაში მთავარ როლს თამაშობდა.

●●●

გოგონა ბიჭს ეუბნება:

– ნამდვილი სექსგიგანტი ხარ...

– მართლა?

– ჰო, სულ ორი კვირაა, ვხვდებით ერთმანეთს და უკვე სამი თვის ფეხმძიმე ვარ!

●●●

საოპერაციო მაგიდაზე მწოლიარე სიმამრი თავის ქირურგ სიძეს ეუბნება:

– შვილო, დაიმახსოვრე, თუ მე რამე დამემართება, შენი სიდედრი შენთან გადმოვა საცხოვრებლად.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– მომბეზრდა საწოლში შენი ხელების ფათური, გინდა, რეზინის ქალს გაჩუქებ.

– უკეთესი იქნება, თუ ნამდვილს მაჩუქებ, თორემ რეზინის უკვე ყელშია ამოსული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

რატი წითელაძე ბიჭის მამა გახდა

მსახიობი რატი წითელაძე ბიჭის მამა გახდა. მისი მეუღლე. ფოტოხელოვანი ოლგა სლუსარევა, პატარა ალექსანდერთან ერთად თავს კარგად გრძნობს.

სასიხარულო ინფორმაცია და პატარა ალექსანდერის ფოტოები რატიმ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– სიტყვები არ მყოფნის – ალექსანდერ წითელაძე – ჩვენი პატარა სასწაული! ჩვენი პატარა სამყარო! უძილო ღამეები, ოლგას სასწაული გამძლეობა და შემდეგ – პირველი თვალის გახელა, პირველი შეხება, თვალები, თითები, არომატი, ხმა... ენით აღუწერელი ემოციები!

როცა სიტყვები აღარ არსებობს – მომენტი, როცა გინდა თქვა ბევრი რამ, მაგრამ სიტყვები აღარ არსებობს შენთვის, მხოლოდ ენით აღუწერელი სიყვარულის ემოციები.

...სოფელ ნაკირნათევიდან, ბათუმი, საბრძოლო ხელოვნებაში საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობის გამარჯვება. მსახიობობა, „ცეკვავენ ვარსკვლავები“, რეჟისურა, ჩემი ფილმის პროექტები ბერლინალეზე, ტორონტოზე, კანისა და არაერთ სხვა პრესტიჟულ კინოფესტივალზე, ასევე „ოქროს გლობუსის“ პრიზი და ევროპული აკადემიის ნომინაცია...

მაგრამ არასდროს, არცერთი წამი, არცერთი მიღწევა ახლოსაც კი არ არის, როდესაც პირველად იხუტებ შენი ცხოვრების, შენი სიყვარულის ნაწილს... ოლგა სლუსარევა – ჩემო განუყოფელო ნაწილო, მიყვარხარ!

გისურვებთ ყველას თქვენი სურვილების ასრულებას!

ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლის იუბილეს კონცერტით აღნიშნავს

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი 100 წლის იუბილესა და პირველკურსელთა საიუბილეო მე-100 ნაკადის მიღებას კონცერტით აღნიშნავს.

დათო ოქიტაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ საკითხთა და კულტურის დეპარტამენტის თვითშემოქმედებითი კოლექტივების განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი:

– სტუდენტებო, 3 ოქტომბერს, საღამოს 6 საათიდან გელით ყველას?– გვინდა გახაროთ – უნივერსიტეტში სტუდენტური ცხოვრება ბრუნდება და თქვენ დასახვედრად მასშტაბურ კონცერტს ვმართავთ.?

გვინდა მოგილოცოთ სტუ-ს პირველკურსელთა საიუბილეო მე-100 ნაკადს! გიხმობთ კურსდამთავრებულებს, რადგან პანდემიის გამო გაცილება ვერ მოგიწყვეთ.?

3 ოქტომბერს თქვენ მოგიძღვნით ენერგიულ მუსიკას ცოცხალი შესრულებით, საუკეთესო მიქსებს შემოგთავაზებთ გელა გნოლიძე, ღამის შოუს ბენდი, დიჯეი გიორგი თოდაძე, იქნება საზეიმო ფეიერვერკი – ღამეულ ცას თქვენთვის გაანათებს.?

ის, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება და გვიყვარს, თქვენი უზღვავი ენერგია და სიცოცხლით სავსე შეძახილებია.

შემოგვიერთდით ყველა სტუ-ელი, რომ ერთ გუნდად შევიკრათ. 3 ოქტომბრის მასშტაბურ კონცერტს ხომ თქვენთვის ვმართავთ. ვიკრიბებით ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის წინ, სააკაძის მოედანთან.

გივი გაჩეჩილაძე: „თბილისობის“ კონცერტი რიყეზე გამაოგნებელი იყო!“

აცხადებს თბილისის ბიგ ბენდის ხელმძღვანელი გივი გაჩეჩილაძე:

– ამოვიდა ყელში!

ჩემო თანამემამულენო! გულისტკივილით მოგახსენებთ, რომ „თბილისობის“ კონცერტი რიყეზე იყო გამაოგნებელი და გამოირჩეოდა არა მხოლოდ უგემოვნობითა და დარგის სრული უცოდინრობით. მე უფრო მაფიქრებს ასეთი გამონათქვამი: „მუსიკას უკვეთს ის, ვინც იხდის“. ეს ყოველივე ჩვენი დაკვეთით ხდება?

ამდენი წელია, სულ ვწერ და, უდაბნოში მღაღადებლის მსგავსად, ვერ მივაღწიე აზრის გაზიარებას. ვწერდი, რომ საქო და სიკო არავის ჰქვია საქართველოს ტერიტორიაზე – გაუთავებელ ჯანაიას ვგულისხმობ, ვწერდი, რომ 300 წლის აღმოსავლეთის მონობაში დიდი გავლენა გადავიტანეთ. ვწერდი, რომ თბილისის ოპერის თეატრი და ძველი მერიის შენობა მავრიტანული არქიტექტურაა. ოპერა იტალიაში შეიქმნა და ქრისტიანული ხელოვნებაა! ვწერდი, რომ დუდუკი, რომელმაც სალამური ჩაანაცვლა, არაქართული საკრავია და მასზე ბაიათების „კვნესა“ ისმის ნახევარტონებში და ჩვენი სალამურის წყობა ემთხვევა ევროპულ წყობას, რომელსაც მუდამ გვერდს ვუვლით. ვწერდი, რომ „კინტაური“ არაქართული, „მეკურტუმეების“ ცეკვაა და ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის შესახვედრად პატარა ბავშვის კინტაური „ჩვენი „ევროპულობის წაშლის“ ტოლფასია.

ამას გულისტკივილით ვამბობ, იმიტომ რომ, თუ ჩვენ მართლა „გვინდა ევროპა“, ჯერ ეს საყოველთაო 300-წლიანი გენეტიკური გავლენა უნდა მოვიშოროთ! ვწერდი, რომ XIX საუკუნეში თბილისის მოსახლეობის ქართველები მხოლოდ 7 პროცენტს შეადგენდა. შვიდს! ე.ი. ათ კაცზე სამი ქართველი იყო. დანარჩენები – დევნილი ქურთები, აისორები, იეზიდები და... ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. „თავშესაფარი სახელმწიფო“ ვიყავით – დოყლაპია სტუმართმოყვარე და ახლა იძახიან, თბილისი ჩვენ ავაშენეთო. დიახ, ააშენეს და კიდევაც ააშენებენ, სანამ ჩვენს დოყლაპიობას ბოლო არ მოეღება ყველგან, ყველა სფეროში, მათ შორის, ხელოვნებაშიც, თორემ აუცილებლად ვიქცევით რომელიმე ქვეყნის „ქრისტიანულ დასახლებად“. შეგახსენებთ, რომ ქრისტიანები ცხოვრობენ ეგვიპტეში, ლიბიაში და ბევრი სხვა ქვეყნის ეთნიკურ დასახლებას წარმოადგენენ!

დაბოლოს, მე უკვე 80-ს გადავაცილე, მაგრამ ჩემი შვილებისა და შვილიშვილების ბედი მაფიქრებინებს, ხომ არ შევიცვალო ადგილსამყოფელი და გავიზიარო სხვა თანამემამულეების ბედი, ვინაიდან მაშინებს და აღარ მსურს ამ გაურკვეველ „თვითგამორკვევაში“ გაგრძელება. უეჭველი დაფიქრება გვმართებს. დავფიქრდებით კი? თუ ძალგვიძს. რას და ვის ვუტოვებთ მომავალ თაობას?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ↘



შვეულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 2. მსხლის ქართული ჯიში; 3. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 5. რიგელი მოჭადრაკე მამაკაცი, მსოფლიო ჩემპიონი; 6. ფოტოაპარატების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 8. იანვრის თვის ქართული სახელწოდება; 11. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 13. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 14. საფრანგეთის პრეზიდენტი; 15. სასტუმროს ერთ-ერთი სახეობა; 19. უკრაინის პრეზიდენტი.

თარაზულად: 1. თერმომეტრის გამომგონებელი გერმანელი ფიზიკოსი; 4. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 7. საქართველოში გავრცელებული ძვირფასი წითელმერქნიანი წიწვოვანი ხე; 9. ცეკვის ძველი ქართული სახელწოდება; 10. ჯარების მართვის ორგანო; 12. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 16. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 17. სახელგანთქმული ექიმის ძველებური სახელწოდება; 18. ამერიკული საავტომობილო კონცერნი; 20. ნორვეგიელი არქტიკის მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 21. სამშენებლო საქმეში გამოყენებული გამომწვარი თიხისა და თაბაშირის ნარევი; 22. ქუჩებში განთავსებული სახანძრო ონკანი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა